# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალ-ხის გაცანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


შაბათი-კვირა, 16-17 ნოემბერი. 2019 წ. №227 (8893) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი




კახა კალაძე:

## უმრავლესობა არ დაიშლება!

**გუნდში იყო აზრთა სხვადასხვაობა, იყო დიდი ალბათობა, რომ უმრავლესობა დაშლილიყო და ეს მხოლოდ ჩვენი ოპონენტების წისქვილზე მიუშვებდა წყალს, რომ შეფერხებულიყო ჩვენი ყველაზე დიდი ინსტიტუტის — პარლამენტის მუშაობა. ახლა ამის საფრთხე ნამდვილად არ არის,** — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, საუბარი, რომ საარჩევნო სისტემა, რომელიც დღეს ქვეყანაშია, არადემოკრატიულია, ძალიან დიდი ტყუილია და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა.

**„ბევრ განვითარებულ ქვეყანაში არის ანალოგიური სისტემა. არის სხვა სისტემებიც, არის მთლიანად მაჟორიტარული სისტემაც. მაგალითად, ამერიკაში, იქ არის მხოლოდ მაჟორიტარული სისტემა, როგორც შერეული, სადაც არის ნახევრად მაჟორიტარული და ნახევრად პროპორციული. შერეული სისტემა ბევრ ქვეყანაშია და ეს არის დემოკრატიული სისტემა. ჩვენ არ გვაქვს დღეს ქვეყანაში არადემოკრატიული საარჩევნო სისტემა, შესაბამისად, უნდა მოვემზადოთ არსებული სისტემის ფარგლებში არჩევნებისთვის. ივანიშვილის ავტორიტეტი ძალიან ბევრ რამეს ნიშნავს გუნდშიც, ქვეყანაშიც და ეს გამოიხატება საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერაში. დიდი იმედი გვაქვს, რომ მხარდაჭერა და თანადგომა გვექნება 2020 წლის არჩევნებზეც“,** — განაცხადა კალაძემ.

## და ჩვენ უარი ვთქვით პროპორციულ სისტემაზე...?

## მე(დრო)ვე(თა) ღაღადი...


2-3


## „ახლა უფრო ხშირია შეცდომების დაშვება“







5


## შემოდის თუ არა პოლიტიკაში ეკატერინე ხვედელიძე?!

## ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილს ოკუპანტებმა ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს



**ახალგორის დე ფაქტო სასამართლომ საქართველოს დაკავებულ მოქალაქეს, ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ინფორმაციას ამის შესახებ ადგილობრივი მედია ავრცელებს.**

9 და 11 ნოემბერს ახმაჯისა და ორჭოსანის მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს 4 მოქალაქე ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით დააკავეს. სოფელ კოდისწყაროს მკვიდრები რამაზ ზადიშვილი და ზურაბ ტუხიაშვილი და გრემისხევის მკვიდრი დავით მიშელაშვილი ე.წ. სასამართლომ ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლა.

**რაც შეეხება ვაჟა გაფრინდაშვილს, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ცხინვალის ე.წ. უშიშროების კომიტეტის ინფორმაციით, მან დე ფაქტო საზღვარი შეგნებულად გადაკვეთა.**

## „ბახმარო ამ წუთში უძირო ქვევრივითაა“

რა ეტაპზეა კურორტის განვითარების გეგმა


11


ციკლიდან „[illegible]“

## დასავლურ სივრცეში გასაღწევად


7




№ 227. შაბათი-კვირა, 16-17 ნოემბერი, 2019 წელი.



# „ახლა უფრო ხშირია შეცდომების დაშვება“

**ის, რის შესაძლებლობაც, თუნდაც 5-6 თვის წინათ წარმოუდგენელი იყო, აღსრულდა: გაერთიანდა სრულიად ოპოზიცია და დღეს ერთ საპროტესტო მაგიდასთან სხედან შალვა ნათელაშვილი და ნინო ბურჯანაძე, გიგა ბოკერია და ეკა ბესელია, ნიკა მელია და თაკო ჩარკვიანი... ერთი სიტყვით, გუშინ დემოკრატიისა და ქვეყნის სიმტკიცის ბურჯები და ოდითგან ბნელეთის მოციქულნი.**

გაერთიანდა სრულიად ოპოზიცია. იმას ნუ მივაქცევთ ყურადღებას, თუ რა მუხტი უდევს საძირკვლად ამ გაერთიანებას და სანამდე გასწვდება ეს მუხტი ამ პროცესს.

მთავარია, ისინი გაერთიანდნენ, თუნდაც ერთი დღით, თუნდაც ერთი თვით (თორემ იმის წარმოდგენა, რომ ეს აჯაფსანდალი 2020 წლის არჩევნებამდე შეინარჩუნებს კვებით ღირებულებას“, დარწმუნებული ვარ, თვით ამ „გაერთიანების“ ორთოდოქს წევრებსაც წარმოუდგენლად მიაჩნიათ, იმდენად განსხვავებული „ალმსარებლობისა“ და ხედვის „ინგრედიენტებია“ იმ ქვაბში ერთად თავმოყრილი.

მართალია, საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე სტოიკურად თავს იმშვიდებს და სხვებსაც ამშვიდებს (ანუ იქცევა ისე, როგორც უნდა იქცეოდეს ასეთ ვითარებაში): არანაირი კატასტროფა არ მომხდარაო, მაგრამ მანაც და მისმა „დაუჯერებელმა“ თანაპარტიელებმაც ხომ კარგად იციან, რომ კატასტროფა მართლა მოხდა. საპარლამენტო უმრავლესობამ ჩაისვარა, დანაპირები არ/ვერ შეასრულა და ქვეყანა სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა: **1. დანაპირების შეუსრულებლობით საზოგადოება გადარია და ქუჩაში გამოსასვლელად განაწყო; 2. საპარლამენტო უმრავლესობა ჩამოსაშლელად გაწირა, დეპუტატები ჯგუფ-ჯგუფად გარბიან მგლებდადევნებული თხებივით; 3. ოპოზიციას პირდაპირ ციდან ჩამოუგდო მახვილი შეტევაზე გადასასვლელად; 5. დაბოლოს: ქვეყანა დააყენა სერიოზული სახელმწიფოებრივი კრიზისის წინაშე.**

მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა ბევრი იწვალა, რათა მისი გუნდის (უფრო სწორად — თვით მისი) ინიცირებული კანონპროექტი დაემტკიცებინა პარლამენტს (ყოველ შემთხვევაში ასე ჩანდა), მაგრამ გუნდმა წამოწყება ჩააგდო და ახლა ყველა ნასროლი ისრისა და ჰოროლის სამიზნე სწორედ ბიძინა ივანიშვილია: „ყველა, მინუს ერთი“.

მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო, იმასაც თუ დავუმატებთ, რომ რუსთაველის პროსპექტი პარლამენტის წინ მყარად გადაიკეტა „კარვების ქალაქით“.

ნაციონალური მოძრაობა სიხარულით აღარ არის, 7 წლის მანძილზე ბოლმა აგროვა, ახლა მისი ჭკუით ბოლმის ამოყრის შანსი მიეცა. მაგრამ მხოლოდ ნაცმოძრაობა და მისი უფრო ავი ტყუპისცალი „ევროპული საქართველო“ როდი ლესავენ დანას. იმუქრებიან ირმა ინაშვილი და ნინო ბურჯანაძეც კი...

მაგრამ ამ ყველაფრის გამო და ყველაფრის მიუხედავად, ქვეყანა ხომ არ უნდა გადავაყოლოთ კრიზისს. ახლა საღი აზრის მოკრებაა საჭირო, რათა „ვადამდელი არჩევნების“, „დროებითი ხელისუფლების“, „ოცნების“ დაუყოვნებლივ გაყრის მოთხოვნებით ეგზალტირებულმა ხალხმა რაიმე გამოუსწორებელი არ ჩაიდინოს. როგორც პოეტი იტყოდა: „ახლა უფრო ხშირია შეცდომების დაშვება“...

ხვალ იქნება გვიან!

**ალეკო ასლანიშვილი**

## პარლამენტში რამდენიმე თანამდებობა ვაკანტურია

საქართველოს მეცხრე მოწვევის პარლამენტში რამდენიმე თანამდებობა ვაკანტური გახდება.

საპარლამენტო უმრავლესობიდან თამარ ჩუგოშვილისა და ზვიად ძიძიგურის წასვლის შემდეგ, ვაკანტური გახდა პირველი ვიცე-სპიკერისა და ვიცე-სპიკერის თანამდებობები. ასევე ვაკანტურია სამი კომიტეტის — საგარეო ურთიერთობათა, ევროინტეგრაციისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარეების პოსტები, რადგან საპარლამენტო უმრავლესობიდან და თანამდებობებიდან წასვლის შესახებ განცხადება გააკეთეს სოფო ქაცარავამ, თამარ ხულორდავამ და მარიამ ჯაშმა.

ამასთან, ვაკანტური იქნება საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილის თანამდებობები, რადგან უმრავლესობიდან ნინო გოგუაძე და დიმიტრი ცქიტიშვილიც წავიდნენ. პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, პოლიტიკური განაცხადის შემდეგ აღნიშნული დეპუტატების გადაწყვეტილებაზე მიმართვა ბიუროს სხდომას უნდა წარედგინოს.

## არჩილ თალაკვაძე კარლ ჰარცელს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე გუშინ საქართველოში ევროკავშირის ელჩს კარლ ჰარცელს შეხვდა. „ქართული ოცნების“ პრესსამსახურის ინფორმაციით, პარლამენტის თავმჯდომარემ და ელჩმა პროპორციულ არჩევნებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე ისაუბრეს და არსებული სიტუაცია განიხილეს.

ყურადღება დაეთმო ეუთოს რეკომენდაციების გარშემო საარჩევნო კანონმდებლობაზე მუშაობის მიმდინარე პროცესს და შესაძლებლობებს.



როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ პროპორციული არჩევნების 2020 წელს გადმოწევის ინიციატივამ პარლამენტში საკმარისი ხმები ვერ მიიღო, 2020 წლის არჩევნები დემოკრატიულად, სამართლიანად ჩატარდება. თალაკვაძემ მზადყოფნა გამოთქვა, რომ ეუთოს რეკომენდაციების ფარგლებში მიმდინარე საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა კონსტრუქციული და ნორმალური პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში წარმატებით დასრულდეს.

**ლუსტრაცია**

# მე(დრო)ვე(თა) ღაღადი...

**„ატამანს ნუ აუხირდები, ეგორ“,** — ბრძანებს ისტორიულ კინოფილმ „დავით გურამიშვილის“ ერთ-ერთი პერსონაჟი და, თითქოს, ალავერდს თანამედროვე ქართველებთან გადმოდის — ნუ იქნებით უმადურნი და მოკეთეს წყალში ამაგს ნუ ჩაუყრითო.




იცოცხლეთ, თეორიულად ამ შთაგონებას ბევრი დაეთანხმება, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ნურას უკაცრავად — პრაქტიკაში განსახორციელებლად არც მორალი ჰყოფნით, არც გამბედაობა და, რაც ყველაზე სავალალოა, არც კაცობა (ქალობა).

ისე, შეცდომით ხომ არ ჩავსვით ფრჩხილებში სუსტი სქესი? — ზოგი მდედრი ისეთი აგრესიულობითა და, თუ პირდაპირ ვიტყვით, „ნაგლობით“ გამოირჩევა, იფიქრებ, პარტნიორები ვერ აკმაყოფილებენ და ემოციების ამოხეთქვას მამრებთან პოლიტიკურ აღვირახსნილობაში გადაზრდილი ქიშპობით ცდილობენო.

რომ არ ვაჭარბებთ, აგერ, ბატონო, რუსთაველზე გადავინაცვლოთ, სადაც კარვის ქალები და კარვის კაცები, უკვე მერამდენედ, რამდენიმე ათეული წლის წინათ დამკვიდრებულ ტრადიციას ერთგულობენ და ჰგონიათ, გზის გადაკეტვით უწამლებენ იმ სატკივარს, ციხის შიგნიდან გატეხვა რომ ჰქვია.

დიახ, სხვაგვარად ძნელია, შეაფასო ის მოვლენები, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის წიაღში განვითარდა.

ზემოთ უმადურობა ვახსენეთ, ახლა კი, თქვენის ნებართვით, კიდევ ერთ აქტუალურ თემას შევეხებით, ორგანულად რომ ებმის ძირითად სათქმელს და ჩვენში გამეფებულ მანკიერ საკადრო პოლიტიკად იწოდება, რაც ჩანასახშივე ეწინააღმდეგება იმ ძველი, ანათემას გადასაცემი ეპოქისდროინდელი პოპულარული ლოზუნგის — კადრები წყვეტენ ყველაფერს — არსს.

ბუნებრივია, იმ სელექციას ვგულისხმობთ, რომლითაც „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა მმართველი პარტიის ბირთვი შეარჩია, მაგრამ კრიტიკულ მომენტში აღმოჩნდა, რომ, თურმე, ნდობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არაკომპეტენტურ მედროვეთათვის გამოუცხადებია.

სხვათა შორის, მსგავსი იაღლიში არათუ პოლიტიკურ სიბინძურეში შედარებით ახალფეხშედგმულ ბატონ ბიძინას, არამედ თავიანთ სფეროში კორიფეებად მიჩნეულ, გამობრძმედილ პროფესიონალებსაც მოსვლიათ — მაგალითად, ხელოვნებაში ანსამბლისა თუ თეატრალური დასის ან სპორტში გუნდის დაკომპლექტებისას, ასე რომ, მოდით, მომხდარს ტრაგედიად ნუ ვაქცევთ!

იქნებ, პირიქითაც იყოს — მე თუ მკითხავთ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სისტემის შესახებ მოწყობილმა კენჭისყრამ ლუსტრაციის როლი ითამაშა და კიდევ ერთხელ მთელი სიცხადით წარმოაჩინა, თუ როგორი დილეტანტი, სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის მენტალიტეტით აღჭურვილ ჰალსტუხიან ბობოლათა „შპანა“ წყვეტს სამშობლოსა და ხალხის ბედს.

ეს არამარტო „ტრიპაჩ მეამბოხეთა“ ტრიოს, არამედ, იქნებ, უფრო მეტადაც, იმ 37 ჩირგვებში შემძვრალ დეპუტატს ეხება, საკუთარი პოზიციის გამჟღავნებისგან თავი რომ შეიკავა. მოგეხსენებათ, როცა არც მწვადს დაწვავ და არც შამფურს, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, კომპრომისზე საკუთარ სინდისთან მიდიხარ, თუ ის, რასაკვირველია, გაგაჩნია.

არანაკლებ თვალსასეიროდ გამოიყურება საერთო მტრის წინააღმდეგ მარადმწვანე ერთპროცენტიან ოპოზიციურ სუბიექტებთან ერთად იმ ყოფილ „მეოცნებეთაგან“ ზანაკის დაცემის ფაქტი, ვისაც ივანიშვილმა პრივილეგირებული აწმყოსკენ მწვანე შუქი აუნთო და ისეთი მდგომარეობა შეუქმნა, რომ არცკი დაესიზმრებოდათ.

ნათქვამია — ადამიანის გამოსაცდელად საუკეთესო საშუალება ძალაუფლება და ფულიაო. დასანანია, რომ ხალხის (უფრო სწორად — მზრუნველ მამასავით ლიდერის) რჩეულთა ნაწილმა, რომელიც ასპარეზზე გარემოებათა იღბლიანი თანხვედრით გამოვიდა, ეს გამოცდა ვერ ჩააბარა, რითაც საკუთარ თავს გამოუტანა განაჩენი, თორემ შეუცვლელი არავინაა და დუბლიორები მათაც მოეძებნებათ.

მოკლედ, ქარის მოტანილი ქარმა წაიღო.

**გია პლატონიშვილი**

# და ჩვენ უარი ვთქვით პროპორციულ სისტემაზე...

**დიახ, მათ უარი თქვეს არჩევნების პროპორციულად ჩატარებაზე. არ დამძრახოთ არაპოლიტკორექტულობისთვის, მაგრამ პირდაპირ ვიტყვი, რომ დაემსგავსნენ იმ ავადსახსენებელი ლევან აკინის ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ პედერასტ გმირებს.**

გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მოვლენები საკმაოდ მწვავედ განვითარდა.

არაფერს ვიტყვი იმ ე.წ. „აქციაზე“, რომლის ჩატარებაც რამდენიმე დღის წინ ნაცებთან აფილირებულმა „აქტივისტებმა“ „დაიბევეს“ და რეალურად აღშფოთებულ ხალხს პროტესტის გამოხატვის საშუალება მოუსპეს, მაგრამ საბედნიეროდ საქართველოში არის რეალური პოლიტიკური ძალა, რომელიც დღეს კონსტრუქციულ ოპონირებას უწევს ხელისუფლებას, ებრძვის სახელმწიფოს მტრებს და საზოგადოებაში საკმაოდ დიდი მხარდაჭერით სარგებლობს (ამაზე ოდნავ ქვევით დავწერ).

მოვლენები კი შემდეგნაირად განვითარდა:

თავიდან საპარლამენტო უმრავლესობა და შესაბამისად, საპარლამენტო თანამდებობები დატოვეს პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა, თამარ ხულორდავამ, სოფიო ქაცარავამ, დიმიტრი ცქიტიშვილმა, გიორგი მოსიძემ, ზაზა ხუციშვილმა და ირინე ფრუიძემ. შემდგომ მათ მიჰყვნენ ფრაქცია „ქართული ოცნება — კონსერვატორების“ წევრები გიგა ბუკია, მუხრან ვახტანგაძე, რუსლან გაჯიევი, ნინო გოგუაძე, პაატა კვიჟინაძე და ზვიად ძიძიგური.

მართალი გითხრათ ამ დეპუტატების დიდი უმრავლესობა, გინდა უმრავლესობის წინ დააბი და გინდა უმრავლესობის უკან, ხალხისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ექნება, მაგრამ ისევ ჩემი ჰეშთეგის „დაინახე პოზიტივის“ პრინციპიდან გამომდინარე ვიტყვი, რომ რამდენიმე თვის წინ დაწყებულმა ლუსტრაციამ შედეგი გამოიღო და კოჰაბიტაციის დასასრული რეალურად დაიწყო.

მაინც რა მოხდა ე.წ. „გავრილოვის ღამის“ შემდეგ და რეალურად რამ გამოიწვია 2020-ში არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარების მცდელობა, მაშინ, როცა 2024-ზე, ფაქტობრივად, ყველა თანახმა იყო.

სავარაუდოდ, პარლამენტის წინ გაწელილმა აქციებმა, და „პროტესტანტების“ ყოვლად უაზრო მოთხოვნებმა, ჩუგოშვილის გუნდის წევრებში გააჩინა აზრი, რომლითაც ისინი ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერას აპირებდნენ.

მათ შესთავაზეს, პარტიის თავმჯდომარეს გამოეცხადებინა ეს დათმობა და დაარწმუნეს, რომ ამ ნაბიჯით დასავლეთი ქართული დემოკრატიით კიდევ ერთხელ აღფრთოვანდებოდა, ხოლო საკითხის პარლამენტში გატანას თავად უზრუნველყოფდნენ.

მახსენდება იური მალჩანოვის გადაცემა „120 წუთი“, რომელიც საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში ყველაზე რეიტინგული პროექტი იყო. ამ გადაცემის ერთ-ერთ გამოშვებაში განიხილავდნენ ე.წ. **ბკჩპ**-ს კრახს და ერთ-ერთმა სტუმარმა (სამწუხაროდ გვარი არ მახსოვს) პირდაპირ თქვა — **ბკჩპ**-ს ავტორები ბრეჟნევის კომკავშირის აღზრდილები იყვნენ და კომკავშირელების მიერ გაკეთებული ერთი საქმე მაინც თუ გინახავთ.

**ზუსტად ასეთი სცენარი განვითარდა არჩევნების პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებითაც. იმ ხალხმა, რომელთათვისაც მეთიუ ბრაიზასა და ე.წ. არასამთავრობოების აზრს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საკუთარი ამომრჩევლის პრობლემებს, ცხადია, ვერ შეძლეს საქმის ბოლომდე მიყვანა და თავიანთი თავკერძა ქარაქუცობით ბიძინა ივანიშვილი საკმაოდ სერიოზული პრობლემის წინაშე დააყენეს.**

**სწორედ ეს იყო მათი „მასობრივი“ გადადგომის მიზეზი. ვერ გეტყვით, თავად დაინახეს თუ არა, მაგრამ ის, რომ ეს ხალხი ,ფაქტობრივად, ვერაფერს აკონტროლებს, არ შეუძლიათ საქმის ბოლომდე მიყვანა, ყველასთვის ნათელი გახდა.**

და მივიღეთ ის, რომ ლუსტრაციას, რომელიც საკმაოდ დიდი ხანია, დაწყებულია, პირველი ლოგიკური გაგრძელება მოჰყვა.

მეორე დადებითი მომენტი არის ის, რომ რეალურად გახდა საჭირო კოჰაბიტაციის დასრულება, მაგრამ სული ცოდვილო, მაინც უნდა ვთქვა, რომ ნაცებისა და ევრონაცების მისამართით ირაკლი კობახიძის ხისტი განცხადებების გულწრფელობის ნამდვილად არ მჯერა.

არ მჯერა მარტივი მიზეზის გამო. გინდა, არ გინდა, პარლამენტის ყოფილი სპიკერი თავისი მენტალობით ზუსტად ჯდება ევრონაცულ იდეოლოგიაში, რაც მას არ აძლევს საშუალებას, ნაცებთან დაპირისპირების დროს დაინახოს ის რეალური ძალა საქართველოს პატრიოტთა ალიანსის სახით, რომელიც ამ საქმეში შეიძლება მისი მოკავშირე გამხდარიყო და უპირისპირდება ევრონაცების ყოვლად მარაზმატული ნარატივით — რუსული პროექტი.

არ დავიწყებ მისი უაზრო გამოსვლების ციტირებას. უბრალოდ, მოვიყვან პარლამენტის ვიცე-სპიკერის ირმა ინაშვილის განცხადებას იმ ყველაფერთან დაკავშირებით, რაც ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მოხდა:

**კიდევ ერთხელ გაწვდით ინფორმაციას:**

**ჩვენი — საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ორგანიზებით აქცია იმართება კვირას, 17 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, რესპუბლიკის მოედანზე.**

**ყველა მხარდამჭერს, თანამოაზრეს მოვუწოდებ: შემოგვიერთდით! ყველა სხვა პარტიის მხარდამჭერებსაც მივმართავ: მოდით! ყველა უპარტიოს ვეუბნები: ჩვენთან ერთად იმოქმედეთ! მივმართავ ახალგაზრდობას: ჩვენს გვერდით დადექით!**

**ვეუბნები „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებსაც, ვინც ერთგული დარჩა 2012 წლის ფასეულობებისა და პრინციპების: ნუ წაახალისებთ „ქართულ ოცნებას“ იმაში, რასაც ვგმობდით წინა რეჟიმის დროს! ხდება ხელისუფლების მითვისება, ამისთვის სჭირდებათ მაჟორიტარული სისტემა და არა რეგიონებში ხალხის დასახმარებლად. უმრავლეს რაიონებში ხალხი არც კი იცნობს საკუთარ მაჟორიტარს. მაგალითად, საგარეჯოში, სადაც მაჟორიტარი ისევ მე ვგონივართ.**



**დარწმუნებული ვარ, ყველა კარგად ხვდებით, რომ ამ დღეების მანძილზე პარლამენტში საკმაოდ იაფფასიანი, მდაბიო, უნიჭო პოლიტიკური სპექტაკლი დაიდგა. წინასწარ ვეუბნებოდი უმრავლესობას, რომ ამგვარი მელაკუდობა მისთვის მძიმე შედეგებით დასრულდება და ამ შედეგების სიმძიმეს „ქართული ოცნება“ჯერ კიდევ იგემებს. მართალია, ფიქრობენ, რომ ხალხი გარეთ პროპორციული არჩევნების თემაზე არ გავა და თავს იმშვიდებენ, მაგრამ ტყუილად იმშვიდებენ თავს.**

**როცა გათენდება, მხარი უნდა დაუჭირონ ჩვენს ინიციატივას, მცირე ცვლილებებით ახალი კანონპროექტის ინიცირების შესახებ, რაზეც უკვე ვისაუბრე და იფიქრონ, როგორ გამოვიდნენ პოლიტიკური ჩიხიდან.**

**ვეუბნები „ქართული ოცნების“ ახალ ზურაბ ადეიშვილს, იგივე ირაკლი კობახიძეს: თავი დაანებე ჩემი დისკრედიტაციის მცდელობას და ჩემზე სრულიად არასწორი, არამართალი განცხადებების ტირაჟირებას. სად დავდივარ და ვის ვხვდები, რომელ პროსპექტზე თუ უბანში ვიმყოფები, გადასარევად იცის ყველამ, ვინც ეს უნდა იცოდეს, ვინაიდან საჯაროდ ვხვდები ყველას, ვისთანაც შეხვედრა მსურს, მჭირდება ან მას სჭირდება. ეგ ენა ჯერ კიდევ მაშინ გქონდა მოსახევი, როცა ნაცებისგან გამიჯვნისკენ მომიწოდებდი. შენ, რომელმაც ყველაფერი გააკეთე ჩვენი რეზოლუციის დასაბლოკად და ჩასაგდებად!**

ასეთი უცნაური, ურცხვი დრო თუ დადგებოდა ამ ბედკრულ ქვეყანაში, ამას როგორ ვიფიქრებდი. თურმე, ყველაფერი შეიძლება იკადროს ადამიანმა...

იმ ყველაფრის შემდეგ, რასაც ვხედავთ, ძალიან საინტერესოა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. მოვლენები, რომლებიც ამ პოლიტიკური ლუსტრაციის შემდეგ გაჩენილ ემოციურ ფონს შეიძლება მოჰყვეს.

როგორც წესი, რამდენიმე სტანდარტული სცენარი არსებობს, რომელთაგან ზოგი აბსურდულია, ზოგი — დამანგრეველი, ზოგი კი — მშრალი.

ცხადია, ყველაზე უმტკივნეულო იქნება ან ხელახალი ინიცირება და მანამდე საზოგადოებრივი და საპარლამენტო მხარდაჭერის ორგანიზება, ან შეგუება და არჩევნებისთვის მზადება.

დიახ, ეს ორივე სცენარი მართლაც კარგია, მაგრამ დღევანდელი ქართული რეალობიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, შეუძლებელი. შეუძლებელია, რადგანაც, **მიუხედავად იმისა, რომ ამ საკონსტიტუციო ცვლილების შესახებ ამომრჩეველი მხოლოდ ძალიან ზოგადად და ზერელედ არის ინფორმირებული, საზოგადოებაში საკმაოდ დაძაბული განწყობებია, რასაც ხელს როგორც სოციალურ ფონთან ერთად პოლიტიკური სპექტრის ერთმანეთთან აშკარა კონფრონტაციაში მყოფი ძალებიც უწყობენ. არაფერს ვიტყვი იმ „ჭია-ჭუა“ პოლიტიკანებზე, რომლებსაც არანაირი პერსპექტივა არ გააჩნიათ, მაგრამ იმისათვის რომ „იტივტივონ“, ყველაფერზე წამსვლელები არიან.**

მოვლენების განვითარების შემდგომი სცენარი შედარებით რადიკალურია, ანუ აქციები.

ბუნებრივია, აქციები საკმაოდ მრავალფეროვანი და ხისტი მოთხოვნებით გაგრძელდება, რომლებშიც მთავარი მოთხოვნა პროპორციული არჩევნების შესახებ ძალიან მალე ჩაიკარგება და ნაც-ევრონაცების გონებრივი მონაცემებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნება პროვოკაციები. პროვოკაციები, რომელსაც ხელისუფლების პოლიტიკური მხარე დაბნეულობის გამო, ფაქტობრივად, ხელს ვერ შეუშლის და მთელი დატვირთვა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე (შ.ს.ს. და გახარია) გადავა (რომელთა იმედი მაქვს).



რაც შეეხება უმრავლესობაში დარჩენილ ახალგაზრდებს, ისინი ბოლომდე დადგებიან რეალური და სწორი გადაწყვეტილებების მიღების მხარეს და ბოლომდე იბრძოლებენ ნაც-ევრონაცების წინააღმდეგ. იბრძოლებენ არა მხოლოდ ტელეეთერებით, არამედ დასავლურ ინსტიტუტებსაც მიაწვდიან რეალურ სურათს.

ერთადერთი ცუდი მომენტი იქნება მედიამხარდაჭერა, რომლის 80 პროცენტი, ფაქტობრივად, ნაცებს ეკუთვნით.

**რევოლუციური სცენარი:**

ბუნებრივია, ეს სცენარი „ღვთისმსახურებაში ახლადშემდგარ“ მირას მაგიდის ზედა უჯრაში უდევს და ყოველ დილით რუდუნებით ეფერება, მაგრამ მსგავსი აბსურდი შეუძლებელია და, პირველ რიგში, სწორედ მათ შემოუბრუნდებათ.

**შიდა წმენდა:**

„ქართულ ოცნებაში“ დაიწყება სერიოზული წმენდა, რაც პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღებისთვის აუცილებელი და საჩქაროა.

წერილი მინდა დავამთავრო ერთი ფეისბუქ-პოსტით, რომელიც იმ პოლიტიკანებს „ეძღვნება“, რომლებიც ნებისმიერი გაფაჩუნების დროს წამოტივტივდებიან და ამ „ჩვენი“ „სკანდალური მედიის წყალობით“ თავიანთ არსებობას შეგვახსენებენ ხოლმე:

**ეს მარგველა, მანანა ნაჭყებია და თვითონ-თვითონ პარტიების „ლიდერები“, 70-იან წლებში კისლავოდსკში ან ლვოვში ნაყიდი იმ ჭურჭლის პონტში არიან, ყველა ოჯახში რომ არის და სუფრებზე მარტო მაშინ გამოაქვთ, როცა ვინმე დიდი ხნის უნახავი შორეული ნათესავი ეწვევათ.**



**გია გაბრიჭიძე**

# რატომ გაუჭირდა ქვეყნის გადამრჩენ დარგს?!

**ტურიზმის სექტორიდან სხვადასხვაგვარი ინფორმაციები ვრცელდება. სასტუმროს მეპატრონეები და ამ ბიზნესში დასაქმებული ადამიანები კლიენტების დეფიციტს უჩივიან, ტურიზმის ადმინისტრაცია კი გაზრდილ მაჩვენებლებზე საუბრობს. სავარაუდოდ, ვიზიტორების რაოდენობა კი გაიზარდა, მაგრამ მათ მიერ გაწეულმა ხარჯმა იკლო.**

## მოიმატა თუ არა ტურისტების რიცხვმა?

### ბიზნესი და მთავრობა სხვადასხვა ინფორმაციებს ავრცელებენ

ჟურნალისტი და პიარ-ტექნოლოგი **ლალი მოროშკინა** სიღნაღში ორი სასტუმროს მფლობელია, რომლებიც განსაკუთრებული პოპულარობით უცხოელ ტურისტებში სარგებლობს. იგი წლევანდელი სეზონის ჩავარდნაზე და სიღნაღში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე საუბრობს.

**„რუსეთის მიერ ავიამიმოსვლის შეწყვეტამ და ტურისტული სეზონის დასრულებამ, ძალიან იმოქმედა სიღნაღში არსებულ სასტუმროებზე. რა თქმა უნდა, მთავარი პრობლემა არა მხოლოდ ფრენების აკრძალვაა, არამედ ის, რომ ჩვენ ვერ ვაწვდით სათანადო სერვისს უცხოელებს, გვაქვს მომატებული ფასი სეზონზე, რომელიც ტურისტებს აშინებს. ამ თემაზე მუდმივად მაქვს საუბრები სიღნაღის სასტუმროების მეპატრონეებთან, რომ ჯობია, იყოს ლოგიკურად დაბალი ფასი, ვიდრე ალოგიკურად მაღალი. მაგალითად, არ შეიძლება სეზონზე ჩურჩხელა 10 ლარი ღირდეს, ხოლო ხაჭაპური – 25 ლარი.**

**სამწუხაროდ, ორივე პრობლემამ ერთდროულად იმოქმედა და მაშინ, როდესაც ასეთი კარგი ამინდია, თბილი ნოემბერი დგას, სიღნაღი სრულიად დაცლილია და აბსოლუტურად სტუმრის გარეშე დარჩა, რაც სერიოზული პრობლემაა სასტუმროებისთვის“,** – განუცხადა „კომერსანტს“ მოროშკინამ.

მისი თქმით, მართალია, თავის სასტუმროებში ძირითადად ევროპელი ტურისტები ჰყავს, თუმცა, რუსი ტურისტების შემცირება სიღნაღის სასტუმროებზე ძალიან ცუდად აისახა.



მართლაც, სტატისტიკურად რუსეთიდან ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ ოქტომბერში 79,4 ათასი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 26,2%-ით ნაკლებია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი თვის მაჩვენებელია. სამაგიეროდ, 2019 წლის ათ თვეში საქართველოში რუსეთიდან ვიზიტორთა რაოდენობამ 1,3 მილიონ ადამიანზე მეტი შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 6%-ით აღემატება. კიდევ უფრო უკეთესი მდგომარეობაა სხვა ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორების მხრივაც.

**„მიუხედავად ბოლო თვეების განმავლობაში ზრდის ტემპების გარკვეული შემცირებისა, ჯამში ტურიზმის სფეროში დადებითი ტენდენციები შენარჩუნდა. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიერ საავიაციო შეზღუდვების დაწესების შემდეგ საქართველოს მთავრობის ყოველდღიური სამუშაო იყო – მინიმუმამდე დასულიყო ის ზარალი, რომელიც კერძო სექტორს და მთლიანად ქვეყანას მიადგა“,** – აცხადებენ ტურიზმის ადმინისტრაციაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში პირველად 2019 წლის იანვარ-ოქტომბერში საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობამ რვა მილიონს გადააჭარბა (ზრდა 6,8%). საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ შეადგინა 6,6 მილიონზე მეტი (ზრდა 6,2%), ხოლო ტურისტული ვიზიტების – 4,4 მილიონზე მეტი (ზრდა 6%).

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვრივიშვილი ამბობს, რომ ტურიზმის წლევანდელი მონაცემები არ არის ის, რასაც ისინი წლის დასაწყისში ელოდნენ, თუმცა დარგი დიდ პრობლემებს გადაურჩა.

**„ეს იყო ძალიან დიდი გამოწვევა. ჩვენ ერთ დღეში დავდექით პრობლემების წინაშე, რომელიც გულისხმობდა დღეში საშუალოდ 10-15 პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის გაუქმებას.**

**დღეს უკვე შეგვიძლია, შევაჯამოთ ის მოცემულობა, რომელიც ეხება ზაფხულის სეზონს. ჩვენი ტურიზმის სექტორის შემოსავლები გაზრდილია, წინასწარი მონაცემებით, 0.9 პროცენტით. მნიშვნელოვანია, რომ ეტაპობრივად გავაანალიზოთ, რა გზა გამოვიარეთ იქამდე, რომ დღეს ამ ციფრებამდე მოვსულიყავით. ჩვენ გულწრფელად ვამბობთ, რომ ეს არ არის ის შედეგი, რასაც ველოდით წლის დასაწყისში იმიტომ, რომ წლევანდელი წელი უნდა ყოფილიყო გამორჩეული მაღალი მაჩვენებლით“,** – განაცხადა ქვრივიშვილმა.

სამთვიანი ვარდნის მიუხედავად, მიმდინარე წლის პირველი ორი კვარტალის მიხედვით საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი 95 მილიონი დოლარით არის გაზრდილი და 1,5 მილიარდ დოლარს შეადგენს. წლის დარჩენილი ბოლო 2 თვის დადებითი დინამიკის შენარჩუნების შემთხვევაში, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი კიდევ უფრო გაიზრდება.

**ეკა ბაქრაძე**

## საოჯახო სასტუმროების ხელშეწყობის პროექტით ვერ ვისარგებლეთ!

მთავრობამ მცირე სასტუმროების საბანკო სესხების პროცენტის თანადაფინანსება ჯერ კიდევ ივლისში დააანონსა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა, რომ რუსეთის მიერ ამოქმედებული შეზღუდვების შედეგად, ყველაზე მეტად სწორედ აღნიშნული სექტორი დაზარალდა. „თანადაფინანსების მექანიზმი მცირე და საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობისთვის“ პროგრამის განაცხადის მიღების ვადა 15 ნოემბერს ამოიწურა. „კომერსანტი“ დაინტერესდა, რეალურად, როგორ იმუშავა ეკონომიკის მინისტრის მიერ დაანონსებულმა მექანიზმმა? როგორც აღმოჩნდა, სასტუმროების უმრავლესობამ აღნიშნული პროგრამით ვერ ისარგებლა.



**„ურეკში არსებული სასტუმროების უმრავლესობა, 90%-ზე მეტი საბანკო სესხებზე არის დამოკიდებული და სახელმწიფოს თანადაფინანსების პროექტის შესახებ ინფორმაციამაც ძალიან გაგვახარა, ბანკებმაც დროულად მოგვაწოდეს არსებული სიახლე, მაგრამ იყო ბევრი შეზღუდვა და ჩემ ირგვლივ თითქმის ვერავინ გამოიყენა. იყო ბევრი დეტალი, მათ შორის უცხოურ ვალუტაში ვისაც ჰქონდა. სესხი 100 000 დოლარი არის მაქსიმუმი, უმეტესობას კი უცხოურ ვალუტაში აქვს კრედიტი დაბალი პროცენტიდან გამომდინარე და ეს თანხაც მინიმუმია იმასთან შედარებით, რა სესხიც გვაქვს დასაფარი. გარდა ამისა, თუ სხვაზე იყო სესხი ან მეწარმეს ჰყავდა თავდები პირი – არ ფინანსდებოდა, მფლობელზე უნდა ყოფილიყო რეგისტრირებული საკადასტრო კოდიც. არ ეხებოდა თანადაფინანსება სახელმწიფო სამსახურში მომუშავე მეწარმესაც და ა.შ. მოკლედ, იყო ბევრი ბიუროკრატიული დეტალი, რომელიც ჩემ ირგვლივ ყველა მცირე ზომის სასტუმროს ჰქონდა და შესაბამისად ვერავინ გამოვიყენეთ. თანადაფინანსების პროექტი სახელმწიფომ კი გამოაცხადა, ალბათ ისევ სარეკლამოდ, მაგრამ რეალურად ვერავინ ვისარგებლეთ“,** – განაცხადა სასტუმრო Ureki hotel g&n მფლობელმა ეკატერინე ზალინაშვილმა.

აჭარაში არსებული საოჯახო სასტუმროების მფლობელების თქმით, მართალია, სეზონი წელს შარშანდელთან შედარებით ადრე დაიწყო, მაგრამ ცოტა ხანს გაგრძელდა და აღნიშნული პროექტი მათთვის ბოლო იმედი იყო, რომელიც ვერ გამოიყენეს.

**„თანადაფინანსების შესახებ ინფორმაცია ზაფხულში გავრცელდა და ეს ჩვენი ბოლო იმედი იყო, თუმცა არ გამოგვიყენებია, რადგან ბევრი დეტალი უნდა დაეკმაყოფილებინა მცირე სასტუმროს, მათ შორის ოთახების რაოდენობა, მაქსიმალური თანხა და ა.შ. არადა, ძალიან რთული სიტუაციაა, ის კონტინგენტი, ვინც უნდა ჩამოსულიყო, ფაქტობრივად, ვერ ჩამოვიდა. მართალია, ამინდებიდან გამომდინარე სეზონი მაისიდან დაიწყო, მაგრამ მხოლოდ ივნისის ბოლომდე გაგრძელდა. წელს ტურისტების რაოდენობა 40%-ით შემცირებული იყო, რადგან ჩვენ ძირითადად რუს ტურისტებზე ვართ დამოკიდებული“,** – განმარტავს სასტუმრო „რივიერას“ მფლობელი ლია ტაკიძე.

Mestia Valeris Guesthouse-ის **მფლობელი მაკა უბესიანი** მართალია, თანადაფინანსების პროექტის შესახებ ინფორმაციას საერთოდ არ ფლობდა, თუმცა სეზონით უკმაყოფილო არ არის.

**„თანადაფინანსების პროექტის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს და შესაბამისად არც გვისარგებლია. ახლა ნამდვილად დავინტერესდები და ვისარგებლებ. რაც შეეხება სეზონს, მთელი ზაფხულის განმავლობაში ჩვეულ რეჟიმში ვიმუშავეთ, არ გვიგრძნია რუსი ტურისტების სიმცირე. აღსანიშნავია, რომ აპარტამენტი თბილისშიც მაქვს და არც იქ შემქმნია პრობლემა. ჩემ ირგვლივ არსებულ სასტუმროებშიც ანალოგიური სიტუაციაა, მართალია, ტურისტების რაოდენობა არ გაზრდილა, თუმცა წინა წლების მსგავსად იყო, უფრო მეტ აქტიურობას ზამთრის სეზონზე ველოდებით“,** – ამბობს მაკა უბესიანი.

**ნინო თამაზაშვილი**

## ქართლის ქარის ელექტროსადგური გაიყიდა!

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, ქართლის ქარის ელექტროსადგურის მყიდველ კომპანია „კავკასიის ქარის კომპანიასთან“ წილის შესყიდვის წინარე ხელშეკრულება 10 დღის ვადაში გაფორმდება.**

როგორც სამინისტროში აცხადებენ, საჯარო აუქციონში გამარჯვებულ კომპანიას წილის შესყიდვის წინარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 დღის განმავლობაში შესაძლებლობა აქვს, აწარმოოს მოლაპარაკება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) სესხის გადაყოლის შესახებ.

**„თუ არ შედგება შეთანხმება, მაშინ კომპანია ვალდებულია, მოახდინოს ჯერ სესხის თანხის გადაფარვა, ხოლო შემდგომ გამყიდველების მიერ განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე შეძენის ფასის ჩარიცხვა“,** – აცხადებენ სამინისტროში.

ქარის ელექტროსადგურის 100-პროცენტიანი წილის გასხვისების აუქციონი გუშინ გაიმართა. „კავკასიის ქარის კომპანია“, რომელის სს „საქართველოს კაპიტალის“ მფლობელობაშია, ობიექტში 14.4 მილიონ დოლარს გადაიხდის.





# შემოდის თუ არა პოლიტიკაში ეკატერინე ხვედელიძე?!

საჯარო სივრცეში **ეკატერინე ხვედელიძის** გამოჩენამ და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტთან დაკავშირებით გავრცელებულმა მისმა ვიდეომიმართვამ ოპოზიცია დაარწმუნა, რომ ბიძინა ივანიშვილის მეუღლე პოლიტიკაში შემოდის. მათი აზრით, ივანიშვილი ამჯერად მეუღლის საშუალებით ეცდება ამომრჩევლების დარწმუნებას, „ოცნების“ სასარგებლოდ გააკეთონ არჩევანი, რაშიც ივანიშვილს ეკატერინე ხვედელიძის სახელი, მისი ქველმოქმედება და სათნო ადამიანის იმიჯი დაეხმარება.

ეკატერინე ხვედელიძის განმარტებით, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის დაარსება მათი ოჯახისთვის პოლიტიკური პროექტი არ არის და ეს უნივერსიტეტი კერძო საკუთრება არ იქნება.

**„ეს იყო ჩვენი ოჯახის სურვილი, შეგვექმნა ისეთი მაღალი ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, რომელიც რეალურად მისცემდა ახალგაზრდებს ახალი ტიპის განათლების მიღების საშუალებას. ეს არ იქნება კერძო უნივერსიტეტი, როგორც სხვა მრავალი პროექტი, რომელიც დააფინანსა ჩვენმა ოჯახმა. ესეც სახელმწიფოს საჩუქრად გადაეცემა“,** — აღნიშნა ეკატერინე ხვედელიძემ ვიდეომიმართვისას.

ბიძინა ივანიშვილის მეუღლე აქამდე საჯარო სივრცეში იშვიათად ჩნდებოდა და თითქმის არასდროს აკეთებდა კომენტარს. თუმცა იგი „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის პერიოდში მედიის ობიექტივში ხშირად ჩანდა. ეკატერინე ხვედელიძე ბიძინა ივანიშვილთან ერთად შეხვედრებზე დადიოდა, ამომრჩევლებს ხვდებოდა, მედიასთან კომუნიკაციისგან კი თავს იკავებდა.

შესაძლოა, ჩვენს საზოგადოებას აღარც ახსოვს, რომ ჯერ კიდევ 2012 წელს ეკატერინე ხვედელიძე „ოცნების“ თავმჯდომარედაც მოიაზრებოდა, რადგან ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა არ ჰქონდა და პოლიტიკურ პარტიასაც ვერ უხელმძღვანელებდა.

აპირებს თუ არა ეკატერინე ხვედელიძე პოლიტიკურად გააქტიურებას 2020 წლის არჩევნებისთვის და მოუტანს თუ არა დივიდენდებს მმართველ გუნდს?!

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, ექსპერტი კონფლიქტების საკითხებში **პაატა ზაქარეიშვილი** For.ge-სთან საუბრისას აღნიშნავს, რომ ეკატერინე ხვედელიძეს პირადად იცნობს და დიდ პატივს სცემს, როგორც ძალზე სათნო ადამიანს.



**„როდესაც ბატონ ბიძინასთან ახლოს ვიყავი, ქალბატონ ეკატერინესთანაც მქონდა ურთიერთობა და მის მიმართ დადებითი დამოკიდებულების გარდა არაფერი გამაჩნია. იგი სითბოს გამოხატავს და მე ვიტყოდი, გავლენასაც ახდენს ბიძინა ივანიშვილზე თავისი ადამიანური დამოკიდებულებით. ქალბატონი ეკა თუ წავა პოლიტიკაში, ამით თავისი ამპლუიდან ცოტათი ამოვარდება, მაგრამ ამაში მიუღებელს ვერაფერს ვხედავ. თუმცა ამაში მაინც ეჭვი მეპარება. უფრო მეტიც, ჩემთვის უცნაური იქნება, თუ ის პოლიტიკაში გამოჩნდება. არასდროს გამჩენია ეჭვი, რომ ეს ქალბატონი ოდესმე პოლიტიკაში მოვიდოდა, მაგრამ, თუ ის ხედავს საკუთარ თავს პოლიტიკაში, რათა მეუღლეს გარედან დაეხმაროს, ეს დასაფასებელია. იგი არ არის რიტორი ადამიანი, არ არის ტრიბუნი ადამიანი, პოპულისტურ რაღაცებს ვერ ილაპარაკებს. ალბათ, ახლაც იმიტომ დათანხმდა საჯარო სივრცეში გამოჩენას, რომ ბიძინა ივანიშვილს სურდა ასე და წინააღმდეგობა არ გაუწია. მათ შორის ძალიან დიდი ჰარმონიაა, მე ეს კარგად ვიცი და მათ ერთმანეთი უყვართ“,** — აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.

პაატა ზაქარეიშვილი არ გამორიცხავს, როგორც სააკაშვილი იყენებდა ხოლმე სანდრას ფენომენს, სანდრას ფაქტორს, შესაძლოა, ასევე საჭირო გახდეს ეკატერინე ხვედელიძის ფაქტორის გამოყენებაც, მაგრამ კონფლიქტოლოგი მას მაინც არ ურჩევს პოლიტიკაში მოსვლას.

**„ნებისმიერ შემთხვევაში, ეკატერინე ხვედელიძეს დიდ პატივს ვცემ და მის მიმართ სიმპათიებით ვარ განწყობილი“.**

კონსტიტუციონალისტი **ავთანდილ დემეტრაშვილი** მიიჩნევს, რომ ყველაფერი, რაც ახლა კეთდება მასშტაბური ღონისძიებების სახით, მმართველი გუნდის თუ ოპოზიციის მხრიდან წინასაარჩევნო კამპანიას უკავშირდება.

**„ეკატერინე ხვედელიძე შემოვა თუ არა პოლიტიკაში, როგორც პოლიტიკოსი, ძალიან სათუოა, მაგრამ საჯარო სივრცეში მისი გამოჩენა რომ პოლიტიკური აქციაა, ამაში ეჭვი არ მეპარება. რა თქმა უნდა, „ქართული ოცნება“ ქალბატონი ეკატერინეს ფაქტორსაც გამოიყენებს, დარწმუნებული ვარ, მალე ქუთაისშიც გაიხსნება ელექტრომობილების ქარხანა და „ოცნების“ პოლიტიკური ელიტა, მთელი გუნდით იქნება მის პრეზენტაციაზე წარმოდგენილი. ესეც გასაგებია. ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ 2020 წლის არჩევნებისთვის უკვე გააქტიურებულნი არიან. თუმცა მათ ძალიან კარგად იციან, რომ საარჩევნო კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი აქციების ჩატარება არ არის მიზანშეწონილი. მიშა სააკაშვილის პერიოდული გამოჩენაც წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია. ჯერ ოფიციალურად არ არის წინასარჩევნო კამპანია დაწყებული, მაგრამ შეერთებული შტატები იქნება თუ საფრანგეთი, ყველა ქვეყანაში საარჩევნო კამპანიისთვის უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ. ერთი ნაწილია სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი თანხები, მეორეა კერძო შემოწირულობანი“,** — აღნიშნა ავთანდილ დემეტრაშვილმა ჩვენთან საუბრისას.

დაარწმუნებს თუ არა ეკატერინე ხვედელიძე ამომრჩეველს, კონსტიტუციონალისტის აზრით, ელექტორატის გარკვეული ნაწილი ამას დადებითად შეხვდება, მაგრამ საეჭვოა, ამას დიდი რეზონანსი ჰქონდეს.



ავთანდილ დემეტრაშვილი არც იმას მალავს, რომ პირადად იგი მიესალმება, თუ ივანიშვილების ოჯახი სოლიდურ თანხებს დახარჯავს მნიშვნელოვან პროექტებში. მისი თქმით, ბიძინას ვერ დავუკარგავთ, რომ მან საკმაოდ დიდი ქველმოქმედება განახორციელა საქართველოში როგორც მიშას დროს, ისე მის შემდეგაც.

**„ერთხელ ჭიათურაში გახლდით ჩასული. უკან რომ ვბრუნდებოდი, რამდენიმე სოფელი გამოვიარეთ და ვნახეთ, ყველა სახლი ერთნაირი კრამიტით იყო გადახურული, რაც თურმე ბიძინას ფულით გაკეთდა. არც იმას გამოვრიცხავ, ივანიშვილი ბიზნესსაც ახორციელებდეს საქართველოში, რათა არ დაკარგოს თავისი კაპიტალი, მაგრამ ესეც ნორმალურია. უბრალოდ, საარჩევნო წლის განმავლობაში ამგვარი აქციები არ უნდა ჩატარდეს“.**

**მანანა ნოზაძე**

## <u>გიორგი კეკელიძე:</u> ის ილეთი, რომ იქ პოლიტიკოსები დგანან და არ უნდა მივიდეთ, გაცვდა!..



ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი **გიორგი კეკელიძე** თბილისში ბოლო ორი დღის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის კანონპროექტის ჩაგდების ფაქტს მოჰყვა და აცხადებს, რომ „ის ილეთი, რომ იქ პოლიტიკოსები დგანან და არ უნდა მივიდეთ, გაცვდა“.

**„ეს უნდა დავწერო. დიდი ხანია, უნდა დამეწერა.**

**მხოლოდ ჩემს სფეროში რამდენიმე მნიშვნელოვანი ამბავი მქონდა სათქმელი: ბრიტანეთის საელჩო და ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა დამეგობრდნენ და დღეს ოკუპაციის ხაზთან, სოფელ შამგონაში ბიბლიოთეკა მოვაწყვეთ. აქ, სადაც ახლა ვარ, ანუ კენიაში, ნაირობის სამიტზე, ჩვენს დელეგაციას შესანიშნავი გამოსვლა ჰქონდა. ბიბლიოთეკაში მალე ორ ახალ დარბაზს გავხსნით. მაგრამ რომელი გითხრათ ხმამაღლა? ჩემს ქვეყანაში ყველა სხვა ამბავი მეორეულია. რაც თავი მახსოვს, სულ ეს კითხვა მიღვიძებს უცნაურ სირცხვილს: რა დროს ეგ არის?! რა დროს ეგ არის?!**

**და ყველაზე ცუდი ის არის, რომ ყოველ ჯერზე, ეს კითხვა სწორი კითხვაა. ზუსტი კითხვა. და ცუდი ისიც არის, რომ წესით სწორედ ასეთი ამბების დრო უნდა იყოს. ცხადია, სხვადასხვა სფეროდან.**

**გადაიყოლეს ეს ქვეყანა პოლიტიკოსებმა და პოლიტიკამ. ოღონდ უმეტესწილად ბრჭყალებში უნდა მოვათავსოთ ორივე სიტყვა და სწორედ ამიტომ გადაიყოლეს.**

**თქვენ გგონიათ, ჩემს მეგობრებს, რომლებიც რუსთაველზე იდგნენ და დგანან, სრულიად უპარტიო მეგობრებს, მანდ დგომა უხარიათ? არა, ყველას საკუთარი საქმის კეთება უნდა. უბრალოდ, ისიც უნდათ, ამ გაუგებარ პოლიტიკურ ხლართებს გადაყოლილი ქვეყანა უკეთესი იყოს. სულ ეს უნდოდათ. ათწლეულებია. ის ილეთი, რომ იქ ვიღაც პოლიტიკოსებიც არიან (რომელთა უმეტესობა არც მე მომწონს) და არ უნდა მივიდნენ — გაცვდა. სად წავიდნენ? ახალი რუსთაველი გამოიგონონ?**

**შენ რას უცდი? — მკითხავთ თქვენ — რატომ არ მოდიხარ იქ, სადაც პოლიტიკაა? იმიტომ რომ, არ არის ჩემი ვნება ეგ საქმე და ვერ გავაკეთებ. ის, რომ შეიძლება, კარგად ვლაპარაკობ ან კონკრეტული საქმის მთლად მაჩანჩალა მენეჯერი არ ვარ, არ ნიშნავს, რომ კარგი პოლიტიკოსი ვიქნები. მაგრამ სადაც ვარ, იმ სივრციდან თუ ჩემს სიტყვას ფასი აქვს, ყოველთვის გავაპროტესტებ ნებისმიერ არასწორ ნაბიჯს ნებისმიერისას, რომ ხვალ ჩემს ქვეყანაში, რომელიც მართლა ძალიან მიყვარს, აღარ ისმოდეს კითხვა: რა დროს ეგ არის?!“...**

## გავრილოვი საქართველოს პარლამენტისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს



„საქართველოს პარლამენტმა ბოდიში უნდა მოიხადოს მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის წევრების წინაშე თბილისში მიმდინარე წლის ზაფხულში ასამბლეის ჩაშლის გამო და წარმოადგინოს ანგარიში იმ ზომებთან დაკავშირებით, რომელიც ინციდენტს მოჰყვა“. რუსული მედიის ცნობით, ეს განცხადება ათენში ასამბლეის პრეზიდენტმა, რუსეთის დუმის დეპუტატმა სერგეი გავრილოვმა სამდივნოს სხდომაზე გააკეთა.

ასამბლეის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ რუსული მხარის რეაქცია იყო თანადროული და ახლა ელოდება საერთაშორისო საზოგადოებას, რადგან საქმე ეხება ორგანიზაციის პატივისცემას.

მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის კომისიის მომხსენებლების სხდომა ათენში 14-15 ნოემბერს იმართება. ასამბლეა 1993 წელს შეიქმნა და მასში 25 ქვეყანა მონაწილეობს.




„აშკარად დაუსაბუთებლად და შეუსაბამოდ იზრდება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციები ამ მიმართულებით. თუ ადგილი აქვს კიბერტერორიზმს და საჭიროა გამოძიება, რა თქმა

# მეტი უსაფრთხოება თუ ტოტალური კონტროლი?

**ქვეყანაში ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა ახალი კანონპროექტი მოამზადა, რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა უწყების ინფორმაციაზე წვდომა სუს-ს ექნება, ის ჩაატარებს მათი ინფორმაციული სისტემების კონტროლსაც.**

**კანონპროექტით განისაზღვრება კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის 3 კატეგორიის სუბიექტი, ანუ ის ჯგუფები, რომელთა შეუფერხებელი მუშაობაც მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის და, შესაბამისად, საჭიროა მათი დაცვა კიბერშეტევებისგან.**

ესენია:

**1. სახელმწიფო სექტორი (სამინისტროები, სახელმწიფო საწარმოები...);**

**2. ელექტრონული კომუნიკაციების სექტორი ( „მაგთი“, „სილქნეტი“...);**

**3. კერძო სექტორი (ბანკი, სადაზღვევო კომპანიები, გაზმომარაგების კომპანია და ა.შ.).**

სახელმწიფოსა და ელექტრონული კომუნიკაციების სექტორს გააკონტროლებს სუს-ის დაქვემდებარებაში მყოფი ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო (OTA), ხოლო კერძო სექტორს – მონაცემთა გაცვლის სააგენტო. ის იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია და საჯარო სექტორის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვა ევალებოდა.

**ოპონენტებისთვის გაუგებარია, რატომაა საჭირო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელში გადავიდეს სახელმწიფოს ინფორმაციულ სისტემაზე წვდომა. ასევე, ჩნდება კითხვები იმის თაობაზეც, თუ რა ინფორმაციას მოიპოვებს სუს-ი საკომუნიკაციო და კერძო სექტორიდან, იქნება თუ არა დაცული პერსონალური მონაცემები.**

ჩანაწერის მიხედვით, ყველაზე მკაცრი რეგულაციები დაუწესდებათ პირველი კატეგორიის სუბიექტებს. ანუ ამ კატეგორიაში შემავალი სახელმწიფო უწყებები ვალდებული იქნებიან:

**ა) ჰქონდეთ ქსელური სენსორები (მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენება კომპიუტერული ინციდენტების აღმოსაჩენად) და მისცენ მათზე წვდომა ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს.**

**ბ) მოთხოვნისთანავე მისცენ წვდომა ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს ინფორმაციულ აქტივზე, ინფორმაციულ სისტემაზე ან ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაში შემავალ საგანზე, თუ ამგვარი წვდომა აუცილებელია მიმდინარე ან მომხდარ კომპიუტერულ ინციდენტზე რეაგირებისთვის.**

საინფორმაციო ტექნოლოგიური შემოწმება შესაძლებელია, ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ ჩატარდეს ნებისმიერ დროს, გეგმური ან არაგეგმური სახით.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის საპარლამენტო წევრი ირაკლი აბესაძე არ ემხრობა სუს-ის ხელში ინფორმაციის ნაკადის კონცენტრირებას: **„აშკარად დაუსაბუთებლად და შეუსაბამოდ იზრდება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციები ამ მიმართულებით. თუ ადგილი აქვს კიბერტერორიზმს და საჭიროა გამოძიება, რა თქმა უნდა, სუს-ი ჩაერთვება, მაგრამ გაუგებარია პრევენციულ ღონისძიებებში რატომ უნდა ჩაერთოს ის.**

**საინტერესო დეტალი არის ის, რომ უსაფრთხოების სპეციალისტს, რომელიც უნდა ჰყავდეთ ჩამოთვლილ უწყებებს, ექნება სახელმწიფო საიდუმლოებაზე დაშვების უფლება, ამის ნებართვას კი გასცემს სუს-ი, ანუ, ფაქტობრივად, სახელმწიფო უწყებებსა და საკომუნიკაციო სექტორში გვეყოლება სუს-ის ე.წ. „ოდეერი“.**

მისი თქმით, ეს კანონპროექტი კიბერუსაფრთხოების საფარქვეშ სუს-ს აძლევს საშუალებას, მუდმივი წვდომა ჰქონდეს ამ კომპანიებში არსებულ ინფორმაციებზე, ეს კი ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში აჩენს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. იმის გათვალისწინებით, რომ 2020 წელი საარჩევნო პერიოდია, ინფორმაცია შეიძლება გამოიყენონ ოპონენტების დევნისთვის და ა.შ.

## რას ამბობს კანონპროექტის ინიციატორი?

ირაკლი სესიაშვილი განმარტავს:

● „სატელეკომუნიკაციო კომპანიების ინფრასტრუქტურაზე სავალდებულო წვდომა კანონპროექტით გათვალისწინებული არ არის. მსგავსი წვდომა შესაძლოა, განხორციელდეს მხოლოდ სატელეკომუნიკაციო კომპანიის ნებართვით. ასე რომ, ოპონენტების მოსაზრება საფუძველს მოკლებულია“.

● „კერძო სტრუქტურები, მათ შორის სატელეკომუნიკაციო კომპანიები, თავად არიან უფლებამოსილი, შეარჩიონ ორგანიზაცია, რომელიც განახორციელებს მათი ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტს. ასეთი შესაძლოა, იყოს ასევე სააგენტოც“.

● „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური პასუხისმგებელია ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, თუმცა არა ქვეყნის კიბერსივრცის უსაფრთხოებაზე. ამ უწყების უუფლებო სტატუსი მნიშვნელოვნად აბრკოლებს მის მიერ სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესის წარმართვას. ამასთან, იგი ფლობს შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ და საკადრო ბაზას ამ ფუნქციის წარმატებით განსახორციელებლად, რაც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს არ გააჩნია“.

● „სახელმწიფო უწყებაში თუ კიბერშეტევის მოგერიება ან ინციდენტის აღმოფხვრა მოითხოვს ამ კონკრეტულ ობიექტზე წვდომას, სააგენტო მიმართავს შესაბამისი უწყების კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტს, რომელიც ვალდებული იქნება, მისცეს მას ამგვარი წვდომა. თუმცა აქ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ამგვარი წვდომა ხორციელდება კონკრეტული, დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე (მოთხოვნაში მიეთითება, რა ინციდენტზეა საუბარი, რატომ არის საჭირო წვდომა და ა.შ.) და არა ავტომატურად.

● ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გაუგებარია, რა ინფორმაციის თავმოყრაზეა საუბარი და ვის წინააღმდეგ შეიძლება, იქნეს გამოყენებული ეს ინფორმაცია“.

**გამართლდება თუ არა კანონპროექტის ოპონენტთა ვარაუდები, იქნება ეს ტოტალური კონტროლის მექანიზმი თუ რეალურად მეტი უსაფრთხოებისთვის წინგადადგმული ნაბიჯი, ეს მხოლოდ მას შემდეგ გამოჩნდება, რაც კანონპროექტს მიიღებენ. წამყვანმა კომიტეტმა კანონპროექტი 2019 წლის 12 ნოემბრიდან 2020 წლის 4 თებერვლამდე უნდა განიხილოს. მისი დამტკიცების შემთხვევაში, კანონი ძალაში 2020 წლის 1 ივნისიდან შევა.**

**ანი ბურდული**

## საბანკო რეგულაციების 11 თვე




# „ტექნიკის ბაზარი სტრესულ მდგომარეობაშია“

ტექნიკის კომპანიებში გაყიდვების მაჩვენებლები შედარებით დასტაბილურდა, თუმცა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ვითარება მაინც მძიმეა.

**„ტექნო ბუმის“ დამფუძნებლის ანზორ ქოქოლაძის** განცხადებით, გაყიდვების მაჩვენებლების შემცირება პირველი იანვრიდან ამოქმედებულმა ახალმა საბანკო რეგულაციებმა განაპირობა და პირველ თვეებში 30%-დან-50%-მდე ვარდნა გამოიწვია.

**„ყველაზე მძიმე სურათი პირველი თვეები იყო, მაგალითად, პირველი 6 თვე დაახლოებით 30-დან 50%-მდე ვარდნა იყო გაყიდვების კუთხით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მომდევნო თვეებში უკვე გაუმჯობესების ტენდენცია იგრძნობა და ვარდნა დაახლოებით 15-30%-ია. ვფიქრობ, ეს რეგულაციები ეტაპობრივად უნდა განხორციელებულიყო, რომ მომხმარებლისთვის და ბიზნესისთვის უმტკივნეულო ყოფილიყო.**

**სიტუაციის გაუმჯობესება და ზარალის დაფარვა იმით შევძელით, რომ გავააქტიურეთ ონლაინ გაყიდვები, უფასო მიტანის სერვისი დავნერგეთ, დავგეგმეთ აქციები. თუმცა, შემდეგ ამ ვითარებას დაემატა ლარის კურსის ცვლილება, მაგრამ მომწოდებლებთან შეთანხმებას მივაღწიეთ და მათ ფასები არ გაზარდეს.**

**თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ტექნიკის ბაზარი მაინც სტრესულ მდგომარეობაშია. ვცდილობთ, რომ რაც ჩვენზეა დამოკიდებული ყველაფერი გავაკეთოთ, რათა მომავალი წლიდან ვითარება დასტაბილურდეს, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორი იქნება ბაზრის დინამიკა, ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში, ვალუტის კურსი და ა.შ. რადგან ლარის გაუფასურება არა მარტო ფასებზე ახდენს გავლენას, არამედ მომხმარებელთა მსყიდველობითუნარიანობაზე მოქმედებს, შესაბამისად, ეს პირდაპირ ახდენს გავლენას“,** – განმარტავს ანზორ ქოქოლაძე.

კანონის ეტაპობრივად შემოღების მექანიზმზე საუბრობს, **„ბეკოს“ გენერალური დირექტორი მეჰმედ მელექიც.**

**„კანონი შექმნეს და მაშინვე შევიდა ძალაში, წესით ჯერ უნდა განიხილონ იმ კონკრეტული ბიზნესის წარმომადგენლებთან, რა შეიძლება მოჰყვეს რეგულაციებს და რა ვადაში უნდა მიიღონ. წლის პირველ ნახევარში რეგულაციები ძალიან მკაცრად იყო დაცული ბანკების მხრიდან, მაგრამ მეორე ნახევრიდან ცოტა შერბილდა და ცოტა შეღავათები გააკეთეს,ისეთი სიმკაცრით აღარ უდგებოდნენ, ამიტომ პირველი 6 თვე უფრო რთული იყო კომპანიისთვის, ახლა დასტაბილურდა. ლარის გაუფასურებაც უარყოფითად აისახა, მაგრამ „ბეკოს“ სათაო ოფისი გვერდით დაგვიდგა, ჩვენი მოგების მარჟაც შევამცირეთ და ფასებმა პროდუქციაზე მიზერული პროცენტით მოიმატა,“** – განმარტავს „ბეკოს“ გენერალური დირექტორი მეჰმედ მელექი.

როგორც „კომერსანტთან“ საუბრისას **„არაის“ მარკეტინგის მენეჯერი ანი ბულია** აცხადებს, რეგულაციებმა კომპანიის გაყიდვებზე არ იმოქმედა და ისინი ჩვეულ რეჟიმში აგრძელებენ მუშაობას.

**„რეგულაციების შემოღების შემდეგ გაყიდვების თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა ჩვენს კომპანიაში და არც რაიმე განსაკუთრებული ღონისძიებები გაგვიტარებია ამ მიმართულებით. რაც შეეხება ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ვითარებას და ლარის კურსის ცვლილებას – შევეჩვიეთ ამ ფაქტს და ჩვეულ რეჟიმში განვაგრძობთ მუშაობას“,** – აცხადებს ანი ბულია.

შეგახსენებთ, 2019 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს ეროვნული ბანკის დებულება „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ“, რომლითაც სესხის გამცემ ყველა ორგანიზაციას მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასება დაევალა.

**ნინო თამაზაშვილი**

# დასავლურ სივრცეში გასაღწევად


ანდრო ბედუკაძე


ქეთევან შენგელია


ბექა ქურხული


ირმა რატიანი


ზაზა ჭილაძე

**30-იან წლებში რუსთაველის პრემია რომ დაარსდებოდა, ჯილდოს მიანიჭებდნენ არა ლიტერატურის გრანდებს, რომელთა გახსენებაც და ჩამოთვლაც არავის გაგიძნელდებათ, არამედ... ვინმე ფხაკაძეს, და მოუბოდიშებდნენ ნაროუშვილსა და ფეოდოსიშვილს, შემდგომი გაცემისას თქვენც აუცილებლად გერგებათო.**

ამ სამ პოეტს — გარდა უნიჭობისა — აერთიანებდათ სულიერების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა სოციალიზმის პოზიციიდან და იმ სულისკვეთებით აღვსილები, მამებს რომ დახვრეტდნენ და დედებს დაახრჩობდნენ, რევოლუცია თუკი უბრძანებდათ.

და საერთოდაც: საბჭოთა ეპოქაში ლიტერატურული ჯილდოები უმთავრესად ნაწილდებოდა ფხაკაძეებსა, ნაროუშვილებსა და ფეოდოსიშვილებს შორის, შემთხვევიდან შემთხვევამდე რომ გამოერეოდა ღირსეული სახელიც.

დადგებოდა დამოუკიდებლობის ხანა საქართველოს ცხოვრებაში, მაგრამ დაამხობდნენ დამოუკიდებლობის გამომცხადებლის ხელისუფლებას და საზოგადოებრივ ყოფაში იძალებდა ლიბერალური მისწრაფებანი, სულიერებას ახლა ლიბერალიზმის პოზიციიდან რომ დაუპირისპირდებოდნენ ეროვნულობას სრულიად მოკლებულ ხელისუფლებათა თანადგომით გულმოცემულნი და... ლიტერატურული პრემიები კვლავინდებურად განაწილდებოდა ფხაკაძეებსა, ნაროუშვილებსა და ფეოდოსიშვილებს შორის, შემთხვევიდან შემთხვევამდე რომ გამოერეოდა ღირსეული სახელიც.

და აი ამ უდაბურებაში ოაზისივით გამოჩნდებოდა და თავსაც შეინარჩუნებდა **ანდრო ბედუკაძის** თაოსნობითა და **„ილიას ფონდის“** მიერ დაარსებული პრემია „საგურამო“ და **ილია ჭავჭავაძის მედალი**, 17 წლის განმავლობაში ერთი, ერთადერთი შემთხვევაც რომ არ გამოერეოდა, ახალი დროის ფხაკაძეს, ნაროუშვილსა თუ ფეოდოსიშვილს (რომელთა არსებობასაც არ მოვისაკლისებთ) რომ დაეთრიათ.

ასევე მოხდებოდა წლევანდელ 8 ნოემბერსაც, ყველა ნომინაციაში ღირსეული პიროვნება რომ გახდებოდა ამ ჯილდოს მფლობელი.

**ქეთევან შენგელია** არასოდეს აჰყვებოდა ლიტერატურულ მოდას და ამიტომაც მისი ლექსები გაჟღენთილი იქნებოდა სიფაქიზით, დახვეწილობით, ლირიზმითა და რაც მთავარია პოეზიის იმ მადლით, რაც ასერიგად აკლიათ მოდურ პოეტთა იმ პოეტურ ტექსტებს, სადაც სანთლითაც ვერ გიპოვნია პოეზია.

**ბექა ქურხულიც** ქმნის არა რაღაც ტექსტებს, არამედ ნამდვილ პროზას და თუ აქამდე იმედით შევყურებდით, დღეს ეს იმედი რეალობად არის ქცეული და „სამოთხიდან გაქცეულები“ უკვე ის განზომილებაა, როდესაც ლიტერატურული პროცესის მონაწილიდან სულაც ავანგარდში გადაინაცვლებ.

დღესდღეობით ბევრს ვლაპარაკობთ და ვმსჯელობთ, რომ აუცილებელია ქართული ლიტერატურის მონაპოვარს ვკითხულობდეთ მსოფლიო, უპირატესად კი დასავლური მწერლობის ფონზე, მხოლოდ ამ კონტექსტში, და ვიძიებდეთ და ვადასტურებდეთ შეხების წერტილებსაც. **ირმა რატიანი** არ ლაპარაკობს ამის თაობაზე, იგი რეალურად ახორციელებს ამ საყოველთაო სწრაფვას და ახორციელებს იმ დონეზე, სანიმუშო რომ არის მის კვალზე მავალთათვის, უშუალოდ მისი ხელმძღვანელობითა და შეგულიანებითაც არაერთი რომ გამოჩნდა ახალგაზრდებს შორისაც ამ ჩანაფიქრის აღსასრულებლად მოწადინებული.

**ზაზა ჭილაძის** სახელს უკავშირდება არაერთი ჩინებული თარგმანი, მაგრამ ის, რასაც მან მიაღწია **უილიამ ფოლკნერის** ქართულად ამეტყველებისას, კიდევ სხვა რანგია, ეს უკვე მოვლენაა, რადგანაც ზაზა ჭილაძის მიერ თარგმნილი რომანების კითხვისას გრჩება შთაბეჭდილება, რომ სახელოვანი ამერიკელი ასე და სწორედაც ასე დაწერდა, ქართველი რომ ყოფილიყო. და ამაში დამეთანხმება ყველა, ვინც ორიგინალში კითხულობს ფოლკნერს.

**როლანდ თოფჩიშვილსა** და **ნუგზარ ანთელავას**, გარდა იმისა, რომ ორივე ისტორიკოსი და ეთნოლოგია, აერთიანებთ უმაღლესი პროფესიონალიზმი, გულმოდგინე ძიებისას მათთვის წვრილმანი და მსხვილმანი რომ არ არსებობს და ბოლომდე ჩაჰკირკიტებენ ყველა საკითხსა თუ დეტალს, და ამიტომაცაა მათი ნაშრომები ასეთი სანდო, მასალასაც თვითონ რომ აგროვებენ და განზოგადებითაც თვითონვე განაზოგადებენ.

მოთხოვნას: რომ ბავშვებისთვის უნდა ვწეროთ ისევე, როგორც დიდებისთვის, მაგრამ ცოტა კიდევ უკეთესად — **ზაზა აბზიანიძე** სრულქმნილად აღასრულებს ყმაწვილთა განცდებსა და ფიქრებში შეღწევის წყალობით, და ამიტომაც არავის გაჰკვირვებია ცნობილი კრიტიკოსის წარმოჩენა მაინცდამაინც საყმაწვილო ჟანრში, რომელსაც ერთიერთმანეთზე საგულისხმო წიგნები შესძინა.

**დათო მაღრაძის** პოემა **„ჯაკომო პონტი“** უამრავ ენაზეა თარგმნილი, მაგრამ მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის ამეტყველებას **აფხაზურად**, **ოსურად** და **ჩერქეზულად**, მნიშვნელობა — როგორც ლიტერატურულ-ესთეტიკური, ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური. ხიდები, რომლებიც გადაწვეს პოლიტიკოსებმა — უპირველესად კი მაინც კრემლში დაგეგმილმა პოლიტიკამ — კავკასიის ხალხებს შორის, რაც შეიძლება მალე უნდა აღდგეს და ეს მისია ვინ შეიძლება უკეთესად შეასრულონ, თუ არა მწერლებმა, ამ მხრივ კი დათო მაღრაძე დიდი ძალაა, და კიდევ ის პიროვნებანი — **ირმა ოსია-კინწურაშვილი, მინაზ ლაზბა, ნაირა ბეპიევა, მერი ცხუირბათი** და **ლარისა ტუპწაყვა,** რომელთაც გზა გაუკვალეს „ჯაკომო პონტის“ აფხაზი, ოსი და ჩერქეზი მკითხველისაკენ.

და ამ მთარგმნელებისათვის „საგურამოს“ ჯილდოს გადაცემა თავისებურ შარავანდად დაადგა ამ ისედაც დიდებულ დღეს.

**ელისო ბოლქვაძისათვის**, რომელიც განებივრებულია მუსიკისმოყვარულთა ყურადღებით და ევროპის დიდი ქალაქებიც ტაშისცემით ეგებებიან, განსაკუთრებით მღელვარე და ძვირფასი ილიას კარმიდამოში აჟღერებული მელოდიებია და ეს ჯილდოც გადაეცა არამარტო დიდი ხელოვნებისთვის, არამედ — ეროვნულ ფესვებს რომ არა წყდება.

**ილიას მედალი კი ქართული სულიერებისა და კულტურის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის უნდა მინიჭებოდა ცხინვალისა და ნიქოზის მიტროპოლიტს ისაიას**, რომელიც გახლავთ თვალნათლივი ნიმუში, თუ როგორი უნდა იყოს სულიერი მამა და როგორ აღასრულებდეს ქრისტიანულ და ეროვნულ საქმეებს — უჩუმრად და თავდადებით, და იმ ზნეობრივი მადლით, რაც აცისკროვნებს ეკლესია-მონასტრის კედლებს და უშუალო ძაფებს აბამს იდუმალ, მისტიკურ სამყაროსთან.

და კვლავ ერთი უმთავრესი საფიქრალი:

ის პროცესები, რაც მიმდინარეობს ჩვენს ლიტერატურაში, აუცილებლად შეუერთდება დასავლურ მდინარებას და შეიქნება მისი განუყოფელი ნაწილი, ჩვენს გარეშე უკვე რომ ველარც ილაპარაკებენ მწერლობაზე; და ამ მხრივ „საგურამოს“ პრემიით დაჯილდოებული ლიტერატორები (იმთავიდან ამთავამდე) განსაზღვრავენ ამ პროცესთა შთამბეჭდაობას და კიდეც გაიკვლევენ გზას იმ მდინარებასთან შესაერთებლად, რომლის შუაგულშიც ვტრიალებდით ერთ დროს და იმ დროის აღდგენა თუ შემობრუნება ჩვენს ხელთაა, თუ მიზანმიმართულ კულტურულ პოლიტიკას შევიმუშავებთ.

„ილიას ფონდის“ მისია ამ მხრივ განსაკუთრებულია და ეს სასიკეთო განზრახვა კიდეც ბოლომდე უნდა მივიდეს.

**როსტომ ჩხეიძე**


ნუგზარ ანთელავა


ზაზა აბზიანიძე


დათო მაღრაძე


ირმა ოსია-კინწურაშვილი


ნაირა ბეპიევა


როლანდ თოფჩიშვილი


ელისო ბოლქვაძე


მეუფე ისაია


ლარისა ტუპწაყვა



# ჩვენი მოქალაქეების გატაცების მზარდი დინამიკა საოკუპაციო ხაზთან

**ბოლო ერთი კვირის განმავლობაში საოკუპაციო გამყოფ ხაზთან საქართველოს სამი მოქალაქე გაიტაცეს. ბოლო შემთხვევა 11 ნოემბერს მოხდა. სოფელ კოდისწყაროს მცხოვრებლები ზურაბ ტუხიაშვილი და რამაზ ზადიშვილი სოფლის განაპირას საქონელს მწყემსავდნენ, რა დროსაც საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები თავს დაადგნენ და ეგრეთ წოდებული საზღვრის უკანონოდ დარღვევის ბრალდება წაუყენეს. საქართველოს მოქალაქეები ცხინვალის იზოლატორში გადაიყვანეს. მათ გასათავისუფლებლად იმავე დღეს ამოქმედდა ევროკავშირის მისიის ცხელი ხაზი. ზადიშვილისა და ტუხიაშვილის გათავისუფლება ხელისუფლების წარმომადგენლებმა ერგნეთში 12 ნოემბერს გამართულ შეხვედრაზეც მოითხოვეს. სოფელ კოდისწყაროს მცხოვრებლები აცხადებენ, რომ მწყემსები საქართველოს კონტროლირებულ ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ და რუსეთის მესაზღვრეები ჩაუსაფრდნენ!**

კასპის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ მერებაშვილი აცხადებს, რომ ცხინვალში სასამართლო მიმდინარეობს და დაკავებულთა გათავისუფლებას უახლოეს მომავალში ელოდება.

6 ნოემბერს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშში ადგილობრივი მცხოვრები, 28 წლის ზაქრო ბუთხუზი საკუთარი ვენახიდან წაიყვანეს. მასთან ერთად ძმაც იმყოფებოდა, რომელმაც გამოქცევა მოახერხა. ქვეშელებმა სწორედ მისგან გაიგეს, რომ საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები ადგილობრივი მოქალაქეების ბაღებში იყვნენ ჩასაფრებულები. ბუთხუზი ორ დღეში გაათავისუფლეს, საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობა კი საკუთარ ნაკვეთებს შიშით ველარ ამუშავებს, განსაკუთრებით იმ ნაკვეთებს, რომლებიც გამყოფ ხაზთან ახლოს მდებარეობს, რადგან საპოლიციო პატრული იქ ხშირად არ მოძრაობს და მათი უსაფრთხოება დაცული არ არის — არავინ იცის, რომელი ბუჩქიდან გადმოხტება რუსეთის მესაზღვრე.

აგვისტოს შემდეგ, ჩორჩანა-წნელისის მიმართულებით გამწვავებული ვითარების ფონზე, დაპირისპირებული მხარეების კონცენტრაცია ამ რეგიონში გაიზარდა და მოქალაქეების დასაკავებლად თითქოს აღარავის ეცალა, ამიტომ საქართველოს მოქალაქეების დაკავებისა და გატაცების შემთხვევები მინიმუმამდე იყო დაყვანილი, მაგრამ ბოლო ერთ კვირაში დინამიკა იზრდება. საქართველოს სამი მოქალაქე უკვე იმყოფებოდა ცხინვალის იზოლატორში. სოფლების მოსახლეობა გამყოფ ხაზთან საპოლიციო საპატრულო ჯგუფების გაზრდასა და იქ მუდმივ მეთვალყურეობას მოითხოვს.

**გოგა აფციაური**

# ირანელებმა საქართველოში 100 ლარად დააფუძნეს კომპანიები!..

**ბოლო ოთხი წლის განმავლობაში უცხო ქვეყნის მოქალაქეებიდან ყველაზე მეტი ბიზნესკომპანია საქართველოში ირანის მოქალაქეებმა დააფუძნეს. მიგრაციის სამთავრობო კომისიის 2019 წლის მონაცემების მიხედვით 2015-2018 წლებში საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ რეგისტრირებული სამეწარმეო სუბიექტების 31% ირანის მოქალაქეების მიერაა დაფუძნებული.**



საქართველო-ირანის სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტი **ვანო მთვრალაშვილი** აღნიშნავს, რომ სტატისტიკა ირანთან მიმართებაში ბოლო წლებში სხვა ქვეყნებისგან გამოირჩევა, თუმცა, საქართველოში აქტიურ ეკონომიკურ საქმიანობას ისინი რიგი პრობლემების გამო ვერ ახორციელებენ.

**„ზოგადად, სტატისტიკა ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურია, ანუ ირანის მოქალაქეების მიერ დაფუძნებული კომპანიები სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან დაკავშირებით ყოველთვის აჭარბებდა. დაინტერესება ირანიდან საკმაოდ მაღალია, თუმცა რეალურად ამ კომპანიების რა ნაწილი მუშაობს, რა ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ და რამდენად არიან აქტიურად ჩართულებია — ეს ცალკე საკითხია, იმიტომ, რომ აქ შესაძლოა, ბევრი ირანული კომპანია ქაღალდზეა დაფუძნებული, მაგრამ აქტიურ ეკონომიკურ საქმიანობას არ ახორციელებენ. აქ არის გარკვეული სახის პრობლემები, მაგალითად, როგორიცაა საბანკო გადარიცხვები და სავიზო საკითხები. ეს განაპირობებს იმას, რომ მათ მიერ დაწყებული საქმიანობა სტატისტიკისას მნიშვნელოვნად აცდენილია, ანუ რეალურად შეიძლება დაიწყეს საქმიანობა, მაგრამ დიდი ნაწილი აქტიურად აღარ ფუნქციონირებდეს. ბოლო წლების განმავლობაში ირანის მხრიდან ჩვენს ქვეყანაში ისეთი თვალშისაცემი ინვესტიციები არ განხორციელებულა, ეს ლოგიკურიც არის, რადგან ისინი ჩვენი სახელმწიფოსგან გარკვეული სანქციების ქვეშ არიან. ვფიქრობ, მათ თავის დროზე რაღაც კომერციული ინტერესი გაუჩნდათ, ძალიან მარტივად 100 ლარად დააფუძნეს კომპანიები, თუმცა იმ ფაქტსაც არ გამოვრიცხავ, რომ ინვესტორის სტატუსის მინიჭების სურვილი ჰქონოდათ და ესეც გამხდარიყო ერთგვარი მიზეზი",** — აღნიშნავს ვანო მთვრალაშვილი.

გარდა იმისა, რომ ორ ქვეყანას შორის ყველაზე დიდ პრობლემად საბანკო გადარიცხვები რჩება, ვანო მთვრალაშვილი ირანში ქართული კომპანიების შესვლასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზეც ამახვილებს ყურადღებას.

**„სავაჭრო ურთიერთობები ირანის მხრიდან თავისუფლად ხორციელდება, მაგალითად, პროდუქციის იმპორტი თავისუფალ რეჟიმში მიმდინარეობს, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოდან ირანის მიმართულებით განხორციელებულ ექსპორტზე, რადგან მათ აქედან გარკვეული პრობლემები ექმნებათ და უჭირთ ირანის ბაზარზე შესვლა. ირანიდან გადამზიდავი კომპანიები უპრობლემოდ შემოდიან, მაგრამ აქედან იქით შესვლაზე ბიუროკრატიულ ბარიერებს აწყდებიან,"** — აცხადებს ვანო მთვრალაშვილი.

**ნინო თამაზაშვილი**

## რამზან კადიროვი:

# იმედია, საქართველოში მიხვდებიან, რომ საუკეთესო მეზობელი რუსეთია

ჩეჩნეთის პრეზიდენტი ისევ საუბრობს პირდაპირ გზაზე საქართველოში. ჩეჩნეთის პრეზიდენტი რამზან კადიროვი ისევ აყენებს საკითხს საქართველოში პირდაპირი საავტომობილო გზის აშენებაზე.ეს პროექტი პირველი ჩეჩნური ომის დასრულების შემდეგ დაიგეგმა, თუმცა, ქართულმა მხარემ მისი რეალიზება არ ჩათვალა საჭიროდ.

**„სოფელ იტუმ-კალედან საქართველოში ჩახვალ სულ რაღაც 40-50 წუთში. ჩვენ იქ გვქონდა გზა. ეს პროექტი ჩვენთვის ძალიან მომგებიანია — საქართველოს გავლით ჩვენ უმოკლესი გზით მოვხვდებით თურქეთში, შემდეგ კი ევროპაში. ჩრდილოეთ კავკასიისთვის ეს აუცილებელი გზაა",** — მიიჩნევს კადიროვი.

მისი თქმით, საჭიროა ამ საკითხის ტექნიკური მხარის შესწავლა და პროექტის რუსეთის პრეზიდენტს და ტრანსპორტის სამინისტროსთვის მიწოდება.გზის მშენებლობა იტუმ-კალედან ახმეტის რაიონამდე დაიწყო 1996 წელს, თუმცა, 1998 ქართული მხარის ინიციატივით შეწყდა.



ეს არ არის რამზან კადიროვის პირველი განცხადება ამ პროექტთან დაკავშირებით — ის რამდენიმეჯერ გამოვიდა გზის მშენებლობის დაწყების ინიციატივით, თუმცა, უშედეგოდ.

**შეგახსენებთ, გროზნოს ტელევიზიის ინფორმაციით, ამ საკითხზე კადიროვმა კომენტარი გამოაქვეყნა საკუთარ ტელეგრამ-არხზე: „ეს დროის საქმეა. მშენებლობა რუსეთის, საქართველოს და რეგიონის ბევრი ქვეყნის ინტერესებშია. იტუმ-კალედან საზღვრამდე 40 წუთის გზაა. იმედია, საქართველოში დროთა განმავლობაში მიხვდებიან, რომ საუკეთესო მეზობელი რუსეთია და ის პირველი გამოგიწვდის დახმარების ხელს".**

**თენგიზ აბლოთია,**
ITAR-TASS.RU

# 9 მაისის აღლუმზე ტრამპის დასწრება კარგი ნაბიჯი იქნებოდა

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი იმედოვნებს, რომ ამერიკელი კოლეგა 9 მაისის აღლუმს დაესწრება. პუტინმა თქვა, რომ ტრამპის მხრიდან ეს კარგი ნაბიჯი იქნებოდა, როდესაც ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადება მიმდინარეობს.

„საარჩევნო კამპანიის ფარგლებში კარგი ნაბიჯი იქნებოდა, თუმცა ეს ჩვენი გადასაწყვეტი არ არის", — განუცხადა რუსმა ლიდერმა ჟურნალისტებს. ტრამპმა გასულ კვირას თქვა, რომ მოსკოვში 9 მაისის აღლუმზე ჩასვლა სურს. ყოველწლიურ აღლუმს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ხელმძღვანელობს. რუსეთი ფაშიზმზე გამარჯვების 75-ე წლისთავის განსაკუთრებული პომპეზურობით აღნიშვნას გეგმავს.

# ჩილეში საპროტესტო აქციებზე 200-ზე მეტმა ადამიანმა მხედველობა დაკარგა

დემონსტრაციების დროს 200-ზე მეტ აქტივისტს თვალი მთლიანად ან ნაწილობრივ დაუზიანდა. ადგილობრივი ჰუმანიტარული სამედიცინო ორგანიზაციები იუწყებიან, რომ მათგან 50 პირს ხელოვნური თვალი დასჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულმა პირებმა მხედველობის დაკარგვასთან ერთად, თვალი მთლიანად დაკარგეს.

ამასთან ერთად, კვლევები აჩვენებს, რომ დაზარალებულთა საშუალო ასაკი 30 წელია. მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა თვალის არეში დაზიანებები რეზინის ტყვიების შედეგად მიიღო. უფლებადამცველი ორგანიზაციების ცნობით, დაზარალებულების საგანგაშო მაჩვენებელი იმაზე მიუთითებს, რომ სამართალდამცველები აქციის მონაწილეებს რეზინის ტყვიებს სახეში დამიზნებით ესვრიან.

ჩილეში დემონსტრაციები უკვე რამდენიმე კვირაა მიმდინარეობს. სტუდენტებმა საპროტესტო აქციები საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გაზრდის გამო დაიწყეს. დემონსტრაციებმა მალევე მიიღო მასშტაბური ფორმა და გაიზარდა აქციის მონაწილეების მოთხოვნებიც. აქტივისტები ჯანდაცვის და განათლების სფეროებში რეფორმების გატარებას და საპენსიო სისტემის ცვლილებას ითხოვენ. ამ ხნის განმავლობაში დემონსტრაციებზე აქტივისტებსა და სამართალდამცველებს შორის დაპირისპირებების დროს 20 ადამიანი დაიღუპა, 2500 კი დაშავდა.

# სენატორებმა არ უნდა შეალამაზონ და არ უნდა გადაწერონ ისტორია...

თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანთან შეხვედრის შემდეგ ამერიკელმა სენატორმა ლინდსი გრემმა სომეხთა გენოციდის აღიარების შემცველი რეზოლუცია დაბლოკა. როგორც „რესპუბლიკელმა" ლინდსი გრემმა განაცხადა, სენატორებმა არ უნდა შეალამაზონ და არ უნდა გადაწერონ ისტორია.

რეზოლუცია, რომელიც ოსმალეთის იმპერიის მიერ სომეხთა მასობრივ მკვლელობებს გენოციდად აღიარებდა, კონგრესმა ოქტომბერში მიიღო. ეს კენჭისყრა მას შემდეგ გაიმართა, რაც თურქეთმა სირიაში სამხედრო ოპერაცია წამოიწყო. რეზოლუციის დამტკიცებას სენატის თანხმობა და აშშ-ის პრეზიდენტის ხელმოწერა სჭირდება. თურქეთში წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული დოკუმენტი გააკრიტიკეს. პრეზიდენტმა ერდოღანმა მას უაზრო და შეურაცხმყოფელი უწოდა.



## ლიეტუვის პრეზიდენტმა ორი რუსი ჯაშუში შეიწყალა

ლიეტუვის პრეზიდენტმა გიტანას ნაუსედამ ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებული რუსეთის 2 მოქალაქე შეიწყალა. ნიკოლაი ფილიპჩენკოს და სერგეი მოისეენკოს 2017 წელს ჯაშუშობისთვის 10-წლიანი პატიმრობა მიესაჯა.

მანამდე ლიეტუვური მედია წერდა, რომ შეწყალების შემდეგ ფილიპჩენკოს და მოისეენკოს რუსეთში დაპატიმრებულ ლიეტუვის მოქალაქეებზე – ევგენი მატაიტისსა და არისტიდას ტამოშაიტისზე გაცვლიან? ტამოშაიტისს და მატაიტისს რუსეთში 12 და 13 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი. მოსკოვმა ლიეტუვას ნორვეგიელი ფრუდე ბერგიც გადასცეს, რომელსაც რუსეთში 14-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი.



## „ცოფიან ძაღლად“ მოიხსენიებენ

ჩრდილოეთ კორეის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო KCNA ამერიკის ყოფილ ვიცეპრეზიდენტს, ჯოზეფ ბაიდენს კიმ ჩენ ინის შეურაცხყოფისთვის აკრიტიკებს.

„ამერიკის ყოფილ ვიცეპრეზიდენტს ფსიქიკური აშლილობის ბოლო სტადია აქვს და დროა, მოკვდეს. ბაიდენის მსგავს ცოფიან ძაღლებს ბევრი ადამიანისთვის შეუძლიათ ზიანის მიყენება. მათ სული ჯოხით უნდა ამოხადო, ვიდრე გვიან არ არის“. მანამდე ბაიდენმა ფხენიანის ლიდერი „მკვლელ დიქტატორად“ მოიხსენია და პრეზიდენტი ტრამპი მის მფარველობაში დაადანაშაულა.

## „ყვითელჟილეტიანების“ დემონსტრაციების გამო საფრანგეთმა სერიოზულად იზარალა

საფრანგეთმა „ყვითელჟილეტიანების“ დემონსტრაციების გამო ერთ წელში 2,5 მილიარდი ევრო დაკარგა, – ამის შესახებ ადგილობრივი მედია ხელისუფლების მონაცემებზე დაყრდნობით იუწყება.

მანიფესტაციების დროს მომხდარი არეულობების შედეგად დაზარალებულმა ასობით სავაჭრო კომპანიამ და მცირე ბიზნესის წარმომადგენელმა მთავრობისგან დახმარება ითხოვა.




კერძოდ, დაზიანებული ინფრასტრუქტურის გამო, მათ გადასახადის დროებით გაუქმება მოითხოვეს. ეს კი ხელისუფლებას საერთო ჯამში, 460 მილიონი ევრო დაუჯდა.

პარალელურად, სადაზღვევო კომპანიებმა დემონსტრაციების დროს დაზარალებულ მცირე ბიზნესის 13 ათას წარმომადგენელს კომპენსაციის სახით, საერთო ჯამში, 230 მილიონი ევრო გადაუხადეს. „ყვითელჟილეტიანების“ დემონსტრაციების დაწყების შემდეგ მომსახურების სფეროს 75 ათასი წარმომადგენელი უმუშევარი დარჩა. მანამდე, ისინი სატრანსპორტო, ვაჭრობის და სასტუმროს სექტორებში იყვნენ დასაქმებულები. „ყვითელჟილეტიანების“ დემონსტრაციები საფრანგეთში 2018 წლის 17 ნოემბერს დაიწყო. აქციის მონაწილეები გადასახდების გაზრდას და საწვავზე ფასების მომატებას აპროტესტებდნენ. თუმცა მალევე მოთხოვნები გაიზარდა. უქმე დღეს დაგეგმილი ტრადიციული დემონსტრაციები ხშირ შემთხვევაში აქტივისტებსა და სამართალდამცველებს შორის შეტაკებით და მასობრივი დაკავებებით სრულდებოდა.

## უხვ თოვლს მსხვერპლი მოჰყვა



საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში გადაუღებლად თოვს. დიდთოვლობამ ყველაზე მეტად დრომის, არდეშის, იზერისა და რონის დეპარტამენტები დააზარალა. დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზები, რის გამოც 200 ათასზე მეტ აბონენტს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. შეფერხებულია სატრანსპორტო მოძრაობა. უხვთოვლობის გამო გრენობლისა და ლიონის სარკინიგზო მონაკვეთი დროებით ჩაიკეტა. 63 წლის მამაკაცი იზერის დეპარტამენტში წაქცეულმა ხელ იმსხვერპლა.



## იდეალური შეფარდება

**საყოველთაოდაა ცნობილი, რომ არსებობს ასპროცენტიანად „მამაკაცური“ და „ქალური“ პროფესიები. მაგალითად, პირველთა რიცხვს განეკუთვნება მეხანძრეობა, მეორეთა – მაქმანების მქარგველობა და მემანიკურეობა... სხვა სქესის წარმომადგენლების გამოჩენა ამ პროფესიებში უდიდესი იშვიათობაა, თუმცა ბოლო ხანებში ასეთი კატეგორიული დაყოფა სულ უფრო ნაკლებად შესამჩნევი ხდება.**

ამის საუცხოო მაგალითია სხვადასხვა ქვეყნის ჯარები, რომლებშიც სულ უფრო მეტი ქალი მსახურობს. ამას კი, სოციოლოგების განცხადებით, სავსებით ობიექტური მიზეზები აქვს.

**ამერიკელ ფსიქოლოგებს თუ ვენდობით, უნდა ვაღიაროთ, რომ ასპროცენტიანად ცალსქესა კოლექტივში მეორე სქესის წარმომადგენლის გამოჩენა შრომის ნაყოფიერებას 15 პროცენტით ზრდის,** სქესთა ოპტიმალური თანაფარდობაა ერთი მესამედი ორ მესამეზე, ხოლო მამაკაცებისა და ქალების ოდენობას სამუშაოს სპეციფიკა განაპირობებს.

ამ გარემოებას ფსიქოთერაპევტები იმით ხსნიან, რომ **შერეულ კოლექტივებში თანამშრომლები უფრო მობილიზებულნი არიან,** რაც, როგორც ჩანს, იმით შეიძლება აიხსნას, რომ ნებისმიერი მუშაკი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობს. მსუბუქი ფლირტი კი ჰორმონ ოქსიტოცინის გამომუშავებას უზრუნველყოფს, რომელიც სამსახურებრივ მოწადინებას ახალისებს, თანამშრომლებს შორის ნდობის ხარისხს ამაღლებს, რის შედეგად შრომის ნაყოფიერება იზრდება. მეტიც: ერთობლივ მუშაობას სამსახურებრივი რომანებიც კი არ უშლის ხელს, პრობლემები მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა შეყვარებულები ერთმანეთში ჩხუბს იწყებენ – ეს გარემოება სამუშაო პროცესს აფერხებს.

კიდევ ერთი საპრობლემო საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ გავერკვეთ – რა სჯობს, ხელმძღვანელი მამაკაცი უნდა იყოს თუ ქალი? კანადელმა მეცნიერებმა, ასე ვთქვათ, „ფრჩხილებს გარეთ“ გაიტანეს უფროსის პროფესიული კომპეტენციის დონე და მხოლოდ სქესის პარამეტრს გაუწიეს ანგარიში.

ალმოჩნდა, რომ **ქალბატონებს ურჩევნიათ, მათი შეფი მამაკაცი იყოს. ქალებს არ მოსწონთ, როცა მათი ხელმძღვანელები ორივე სქესის წარმომადგენლები არიან. მამაკაცებს კი ამ მხრივ ერთობ უცნაური რეაქცია აქვთ: მათ ერთნაირად არ მოსწონთ ხელმძღვანელი, თუკი ის მარტოა – მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქალია ეს თუ კაცი. ხოლო უფროსებად ერთდროულად ქალისა და მამაკაცის ყოლას ძლიერი სქესის წარმომადგენლები გაცილებით ხალისიანად ეგუებიან.**

## სარგებლის მომტანი ცხიმიანობა

**კანადელ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ რძე სიცოცხლეს ახანგრძლივებს. ყოველდღიურად მიღებული რძის პროდუქტების სამი ულუფა მნიშვნელოვნად ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა წარმოშობისა და ნაადრევი სიკვდილის ალბათობას.**

დაკვირვებათა შედეგად მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სიკვდილიანობის მაჩვენებელი მაღალია ადამიანთა იმ ჯგუფში, ვისაც რძე არ უყვარდა. თანაც ყველაზე დაბალი ეს მაჩვენებელი იმ ხალხში აღინიშნება, ვინც ჩვეულებრივი ცხიმიანობის რძეს მოიხმარდა – სწორედ მათში აღინიშნებოდა გულის დაავადებათა ყველაზე მცირე მაჩვენებელი.

აქედან გამომდინარე, მეცნიერებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ **რძე და რძის პროდუქტები დადებითად მოქმედებენ ორგანიზმზე,** ამიტომაც ნორმალური ცხიმიანობის რძისა და იოგურტების მოხმარების რჩევას იძლევიან.

## იცით თუ არა, რომ...

**...ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიოში ყველაზე მეტი ექიმი მონაკოში მუშაობს, სადაც 10 ათას კაცზე 271,64 მედმუშაკი მოდის?**

...ადამიანის თმა 90 პროცენტით ცილა კერატინისგან შედგება?

...მე-15 საუკუნეში წარმოშობილ სტამბოლის დიდ ბაზარში, რომელსაც 30 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი უკავია, 66 ქუჩაა?

...წყალსაცავები უდაბნოებშიც არის – ამ პატარა ტბებს საჰარაში „ჰელტებს“ უწოდებენ და ისინი გრუნტის წყლებით იკვებებიან?

...მთელ ირლანდიაში არც ერთი შხამიანი გველი არ არის, რომელთა განდევნას ქვეყნის მფარველს წმინდა პატრიკს მიაწერენ?

## შეგარგოთ!

**ბანანი იდეალური „მისაყოლებელი“ ყოფილა ამ ხილში შაქრიანი ნივთიერებების არსებობის გამო, რომლებიც ნერვულ სისტემას გარეშე გამღიზიანებლების მიმართ უფრო ნაკლებად მგრძნობიარეს ხდის.**

მასში შემავალი მიკროელემენტებისა და მინერალური ნივთიერებების „კოქტეილი“ კი ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრირებასა და ზრდის შრომისუნარიანობას. სწორედ ამის წყალობით ბანანი ოფისში იდეალური საშუადღისო საჭმელია.

## საფრთხილო დიეტები

**გახდომის სურვილი ხშირად წონის აკრეფას იწვევს. მეცნიერებმა ეკონომიურად დაამტკიცეს, რომ ის ხალხი, ვინც გამუდმებით გახდომაზე ფიქრობს, ხშირ შემთხვევაში წონაში ორმაგად იმატებს.**

საქმე ისაა, რომ საკუთარი თავით უკმაყოფილება სტრესის პროვოცირებას ახდენს. ნერვული დაძაბულობის დაოკებაში კი ორგანიზმს ხელს უწყობენ სწრაფი ნახშირწყლები (ნამცხვრები, შოკოლადი, კანფეტი და ა.შ.), რომლებსაც დიეტის რეზულტატები ნულზე დაჰყავთ.

## წონა დაიგდეთ, წონა!

**ჭარბი წონა კიბოს მრავალი სახეობის წარმოშობის მიზეზი ყოფილა. ახალი გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ჭარბი წონა სულ მცირე 12 სახეობის, მათ შორის ღვიძლის, საკვერცხეების, ნაღვლის ბუშტის, საყლაპავის, მსხვილი ნაწლავის, სარძევე ჯირკვლის, თირკმლების, კუჭქვეშა ჯირკვლისა და ენდომეტრიის კიბოს წარმოშობის მიზეზი შეიძლება იყოს. სიმსუქნეს ასევე უკავშირდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და შაქრიანი დიაბეტის წარმოშობის რისკი.**

გასუქებისა და კიბოს წარმოშობისგან თავი რომ დაიზღვიოთ, უნდა მიირთვათ მეტი ბოსტნეული, ხილი და დაუფქვავი მარცვლეულის ნაწარმი. უნდა აკრძალოთ ალკოჰოლის, ტკბილი გაზიანი სასმელების, სწრაფი კვების პროდუქტებისა და მარილის მიღება. გარდა ამისა, შეიძლება კვირაში არაუმეტეს 500 გრამი ხორცის პროდუქტი მიირთვათ.




მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ

ლეგიონერი



# შენგელია დაფრინავს...

**ევროლიგის მერვე ტურში თორნიკე შენგელიამ ბრწყინვალე თამაში ჩაატარა, მაგრამ „ბასკონია“ საკუთარ მოედანზე თელ-ავივის „მაკაბისთან“ განადგურებას მაინც ვერ გადაურჩა.**

სტუმრები მთელი შეხვედრის განმავლობაში დომინირებდნენ და რა გასაკვირია, რომ საბოლოოდ 30-ქულიანი უპირატესობით იმარჯვეს — 113:83. „ბასკონიამ“ დაცვაში საშინლად ითამაშა, მაგრამ მისი ქართველი კაპიტანი ორივე გუნდის რიგებში შეუდარებელი გახლდათ.

თორნიკემ 36 წუთში 31 ქულა, 8 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. შენგელიამ 9-დან 5ორქულიანი, 3-დან 3 საჯარიმო და 9-დან 6(!) სამქულიანი ჩააგდო. შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 32-ს გაუტოლდა.

„ჯვაროსანი“ მარგი ქმედების კოეფიციენტით და დაგროვილი ქულებით ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო იყო და, შესაბამისად, მატჩის MVP ის გახდა. ჩვენებურის დიდებულმა გარჯამ „ბასკონიას“ მაინც ვერ უშველა, რადგან ესპანელთა შემადგენლობაში კალათბურთს პრაქტიკულად მხოლოდ ორი ადამიანი თამაშობდა — შენგელია და პატრისიო გარინო (24 ქულა, 6 მოხსნა).

„ბასკონიას“ 3 მოგების საპირწონედ 5 წაგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-12 ადგილზეა. ვიტორიელები მომდევნო ტურში 21 ნოემბერს მოსკოვის ცსკა-ს უმასპინძლებენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ვარიანტი

# რამოსიც, პიკეც...

**მადრიდის „რეალის“ კაპიტანმა სერხიო რამოსმა არ გამორიცხა 2020 წლის ტოკიოს ოლიმპიადაში მონაწილეობა. მასთან ერთად, შესაძლოა, ტურნირში „ბარსელონას“ უკანახაზელმა ჟერარ პიკემაც ითამაშოს.**

„მომწონს, როცა ესპანეთის ნაკრებს სხვადასხვა ფორუმზე წარმოვადგენ. მეც, პიკეც და, ალბათ, ნებისმიერი სხვაც ბედნიერი იქნებოდა იაპონური შანსით.

ცხადია, უპირველესად ევროპის ჩემპიონატზე ვფიქრობ, მაგრამ ვნახოთ, შემდეგ რა იქნება. ისე კი, ძალიან მაინტერესებს ხუთი რგოლის ეგიდით ასპარეზობა. ასეთი გამოცდილება ჯერ არ მქონია.“ — ციტირებს რამოსის სიტყვებს bein Sports.

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიურ საფეხბურთო ტურნირში 23 წლამდე ასაკის ფეხბურთელები მონაწილეობენ. ამასთან, ყველა ნაკრებს უფლება აქვს შემადგენლობაში სამი ნებისმიერი ასაკის მოთამაშე შეიყვანოს.

**გიორგი შოთაძე**



თარიღი



# მუზის დახმარებით და მის ტყვეობაში

**90 წელი შესრულდა ჭადრაკში მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონის, წარმოშობით თბილისელის ტიგრან პეტროსიანის დაბადებიდან, რომელმაც ეს ტიტული 1963 წელს, მიხეილ ბოტვინიკთან გამარჯვებით მოიპოვა.**

ნახევარი საუკუნის წინათ კი მან თავისი საჩემპიონო უფლება-მოსილება **ბორის სპასკის** გადააბარა და, მისი ვაჟიშვილის, **მიხეილის** მოგონებით, ეს მარცხი ოჯახში დღესასწაულივით აღიქვეს — მისი თქმით მსოფლიო ჩემპიონის წოდების ტარება მამამისისთვის ზედმეტად მძიმე ტვირთი აღმოჩნდა.

საერთოდაც, მიხეილ პეტროსიანის მოგონებით, მსოფლიო ჩემპიონობა მამამისს სულაც არ უნდოდა. „ამის გაკეთება მას დედამ აიძულა, — იხსენებს ტიგრან პეტროსიანის ვაჟი, — პრეტენდენტების ტურნირზე მამას ბოლო პარტიის თამშიც კი არ უნდოდა, თუ მოვიგებ, ბოტვინიკთან ჩემპიონობისთვის მატჩის ჩატარება მომიწევს, ხოლო მასაც თუ მოვუგებ, მერე ნახეთ თქვენ რა დღეში ჩავვარდებიო, — იძახდა!“

არადა, „არასაჭადრაკო“ პაექრობებისგან და, საერთოდაც, ცხოვრებისეული პრობლემებისგან ტიგრან პეტროსიანს მისი მეუღლე, მეტად მიმზიდველი გარეგნობის კიეველი თარიჯმანი **რონა ავინეზერი** ათავისუფლებდა. ამ უდავოდ გონიერი და, რომ იტყვიან, „ცხოვრების ალღოს მქონე“ ქალბატონზე ნამდვილად ღირს ორიოდე სიტყვის თქმა თუნდაც იმის გამო, რომ სწორედ მისი ძალისხმევით თბილისელი მეეზოვის შვილმა და გენიალურმა თვითნასწავლმა მოჭადრაკემ არა მარტო მიიღო უმაღლესი განათლება, არამედ ფილოსოფიაში მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხიც დაიცვა, საჭადრაკო გამოცემა „64“-ის მთავარი რედაქტორიც გახდა, ოჯახიც მორიდებული ერთოთახიანი ბინიდან საცხოვრებლად დიდებულ აპარტამენტებში გადავიდა. ამ ამბის შესახებ ერთმა ცნობილმა მოჭადრაკემ კიდეც იხუმრა: „პეტროსიანს მხოლოდ ფიგურების გაცვლა შეუძლია, ყველაფერ დანარჩენს მისი ცოლი ცვლის“.

ასე იყო კუნძულ კიურასაოზე გამართულ პრეტენდენტთა ტურნირეზეც, რომლის ბოლო ტურში წინ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ გამარჯვების შემთხვევაში პეტროსიანი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მიხეილ ბოტვინიკთან მატჩის გამართვის უფლებას იღებდა

ეს პარტია კი მას **ვიქტორ კორჩნოისთან** უნდა გაემართა. სწორედ კიურასაოზე ტურნირის შემდეგ, მსოფლიოს მომავალმა ჩემპიონმა **რობერტ ფიშერმა** პრესაში „ჩაწყობილი“ შეხვედრების სკანდალური ამბები გაახმაურა. რამდენიმე წლის წინათ კი მეორე მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა **ანატოლი კარპოვმა** ჟურნალისტებს გაანდო, რომ კიურასაოზე პარტიის ბედი წინა საღამოს გადაწყდა... **რონა პეტროსიანისა** და **ბელა კორჩნაიას** მეგობრულ შეხვედრაზე. მართალია, ვიქტორ კორჩნოი კი დაჰყვა ცოლის „რჩევას“ პეტროსიანისთვის პარტია „მიეცა“, მაგრამ მერე გონს მოეგო და ერთი ამბავი ატეხა, რის შემდეგ ოჯახებს შორის მეგობრობა სამუდამოდ გაფუჭდა.

დიდი ხნის მეგობრობის მიუხედავად, პეტროსიანებისა და კორჩნოების ურთიერთობა, შეიძლება ითქვას, მტრობადაც კი გადაიქცა, რომელიც კიდევ უფრო გამძაფრდა, როცა უკვე მოქმედმა მსოფლიო ჩემპიონმა ტიგრან პეტროსიანმა პრეტენდენტთა ტურნირზე პირველობა ვიქტორ კორჩნოის დაუთმო.

საბჭოთა ჭადრაკის მესვეურთა ბევრი მცდელობის მიუხედავად, ორი დიდოსტატის შერიგება ვერაფრით მოხერხდა.

მიუხედავად იმისა, რომ ტიგრან პეტროსიანი თბილისში დაიბადა, სიცოცხლის მეტი ნაწილი კი მოსკოვში გაატარა, ერევანში მას თავისიანად თვლიდნენ. მ. ბოტვინიკზე მისი გამარჯვების შემდეგ, სომხეთში 100-ათასრუბლიანი საპრიზო ფონდი შექმნეს, რაც 60-იანი წლების დასაწყისში უზარმაზარი თანხა იყო. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სომხური დიასპორები ტიგრან პეტროსიანს უდიდესი ზარ-ზეიმით იღებდნენ. მაგალითად, უსურგვაიში, მარშალ ივანე ბაგრამიანის სახელობის ადგილობრივ კლუბში მოწყობილ ბანკეტზე, შუა სუფრაზე, დარბაზში შემოსულა მთელ მონტევიდეოში სახელგანთქმული სომეხი მეწაღე და ყველა საბჭოთა მოჭადრაკისთვის... ფეხის ზომა აუღია. გროსმაისტერ **მარკ ტაიმანოვის** მოგონებით, პეტროსიანის წყალობით მალე გუნდის ყველა წევრმა ფეხი ექსკლუზიურ ფეხსაცმელში გაყო...

რონა პეტროსიანის შესახებ საჭადრაკო სამყაროში ბევრს ლაპარაკობდნენ. ადრე გარდაცვლილი გროსმაისტერის **ლეონიდ შტეინის** ქვრივის თქმით, „იგი არაორდინარული ქალი იყო, მას დიდი კავშირები ჰქონდა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში და საბჭოურ ჭადრაკში ამინდსაც ჰქმნიდა. მასზე იყო დამოკიდებული არა მარტო საზღვარგარეთის ტურნირებში მონაწილეობა, არამედ ბევრი სხვა რამეც...“

ტიგრან პეტროსიანი ადრეულ ასაკში, 1984 წელს გარდაიცვალა, თუმცა 19 წლის განმავლობაში მის დაბადების დღეზე, ქალბატონი რონა მუდამ სუფრას შლიდა.

**ნინო ალექსანდრია**

ინტერნეტიდან

# კდემამოსილი ნიგერიელი

**აგბანი დორეგო 37 წლის ნიგერიელი მოდელია, რომელსაც ახალგაზრდული სიცქვიტის წლები, მართალია, უკან აქვს მოტოვებული, მაგრამ სამშობლოში ძველებურად პოპულარულია და ეს წარმატება, ალალად უნდა ვთქვათ, რომ ამ მშვენიერმა ქალბატონმა ნამდვილად დაიმსახურა.**

აგბანი დორეგო, ბევრი კოლეგისგან განსხვავებით, არასოდეს ყოფილა „ქარში სიყვარულის მდევნელი“ და მაშინ, როდესაც მასზე მამრნი გიჟდებოდნენ, ის მაინც გათხოვილი ქალისათვის დამახასიათებელ ცხოვრების მშვიდ წესს არჩევდა, სადაც ყველაფერი იყო, გარდა პოპულარობის მოსახვეჭად მოგონილი ათასი სიგიჟისა.

იყო დრო, როდესაც ეს ქალი ნიგერიის საფეხბურთი ნაკრების თილისმად ითვლებოდა და „არწივები“ პრესკონფერენციას, საზეიმო მიღებას თუ მნიშვნელოვან შეხვედრას ისე არ გამართავდნენ, აგბანიც რომ არ მიეწვიათ. ასეთი ტიპის აქტივობასაც მოდელმა საკუთარი სურვილით დაანება თავი და გზა ახალგაზრდა, პოპულარობის მაძიებელ გოგონებს დაუთმო.

**ბეჟან დოლიძე**



# ლატვიელთა გამოცდილება

**ლატვიაში ვიზიტის ფარგლებში, ვიცე-პრემიერმა, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, პირველ მოადგილე მიხეილ სარჯველაძესთან ერთად, ლატვიის სასამართლო ადმინისტრაციასა და პენიტენციური სამსახურის ნარკოლოგიურ დაწესებულებაში, ასევე, მედიატორთა ასოციაციისა და ალიმენტის საგარანტიო ფონდის ხელმძღვანელებთან შეხვედრები გამართა.**

ქართულმა დელეგაციამ ლატვიის სასამართლო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან მოისმინა გადახდისუუნარობის ადგილობრივი მოდელის წარმატებებისა და ხარვეზების შესახებ, რაც ქართული მხარისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარესთან გამართულ შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა მედიაციაზე, როგორც კომერციული და სხვა დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმზე.

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, საქართველოს მთავრობას აქვს გეგმა, რომ უახლოეს მომავალში საქართველო ჩამოყალიბდეს რეგიონის ბიზნეს და საარბიტრაჟო ჰაბად და განაგრძობს თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმას ამ მიზნისაკენ.

ნარკოლოგიურ პენიტენციურ დაწესებულებაში ლატვიელმა პატიმრებმა ქართულ დელეგაციას სიურპრიზად საქართველოს ხელნაკეთი დროშა დაახვედრეს. ქართული მხარე გაეცნო ლატვიის პენიტენციურ სისტემაში დანაშაულის პრევენციისა და პატიმრების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამებს.



# ლევან დავითაშვილი იტალიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ესაუბრა

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი საქართველოში იტალიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ანტონიო ბარტოლის და უმსხვილესი საერთაშორისო გამოფენის** Macfrut **პრეზიდენტს რენცო პირაჩინოს შეხვდა.**

ახალი, გაუყინავი ხილისა და ბოსტნეულის აღნიშნული გამოფენა იტალიის ქალაქ რიმინიში ყოველწლიურად ტარდება, 43 ათას ვიზიტორს მასპინძლობს და მწარმოებლებს მსოფლიო მასშტაბით სარეალიზაციო ბაზრების მოძიების შესაძლებლობებს აძლევს.

გამოფენის პრეზიდენტთან შეხვედრაზე ლევან დავითაშვილმა საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის მეხილეობის, როგორც ტრადიციული აგრარული დარგის მნიშვნელობაზე და პოტენციალზე გაამახვილა ყურადღება.

მინისტრმა ვრცლად ისაუბრა მრავალწლოვანი ხეხილის ბაღების გაშენებასა და სანერგე მეურნეობების შექმნის მიმართულებით მიმდინარე ფინანსური მხარდაჭერის უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო პროექტზე „დანერგე მომავალი“.



ლევან დავითაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყანაში კონკურენტუნარიანი ხილისა და ბოსტნეულის წარმოება მზარდია და, შესაბამისად, ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებაში ფერმერების მხარდაჭერა სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია.

## სანთელი

# თემურ რუხაძე



**ვემშვიდობებით შესანიშნავ პიროვნებას, თბილ და კეთილშობილ ქართველს, შესანიშნავი ოჯახის მამასა და სამეგობროში გამორჩეულ კაცს თემურ რუხაძეს, ვეტერან რაგბისტს, სპორტის ოსტატს, ღირსების ორდენის კავალერს.**

**თემურ რუხაძე 1947 წელს დაიბადა, დაამთავრა სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის მექანიკური ფაკულტეტი. იგი აქტიურად იყო ჩაბმული ქართული რაგბის სათავეებთან — თამაშობდა თბილისის „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში. 1985 წლიდან ხაშურის „ატეკის“, ხოლო 2 წლის შემდგომ ხაშურის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი გახლდათ, სადაც მუყაითი და მშრომელი კაცის სახელი დაიმკვიდრა. 2002 წლის თავისუფალ არჩევნებში ხაშურის საზოგადოებამ 4 წლის ვადით ხაშურის გამგებლად აირჩია, მან შესანიშნავი პროექტები განახორციელა ხაშურის აღმშენებლობაში, ყველას თავი დაამახსოვრა თავისი კეთილსინდისიერებითა და მუყაითი შრომით. ბოლო წლებში რაგბის ფედერაციის კომისარი გახლდათ ხაშურში და ახალგაზრდებს ხელს უწყობდა ამ სპორტის დაუფლებაში. ჩვენ, მეგობრებს თავი დაგვამახსოვრა როგორც თბილმა, კეთილშობილებით აღსავსე ადამიანმა. მშვიდობით თემურ...**

**მეგობრები**

**გიორგი ნაჭყებია ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა თორნიკე აფაქიძის დედა, დამსახურებული პედაგოგი**

# დუშა სამსონის ასული ღვინჯილია-აფაქიძე

**და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.**

# „ბახმარო ამ წუთში უძირო ქვევრივითაა“



## რა ეტაპზეა კურორტის განვითარების გეგმა

**„ჩვენთვის ბახმაროს სეზონის სამი თვე საკმაოდ დაძაბულია. ეს პერიოდი ეკლებზე ვზივართ, ვინმე გაცივდება თუ ფეხი მოტყდება, სულ ბახმაროში ვართ. პრობლემაა ის, რომ უსახსრობის გამო ადგილობრივ დონეზე ვერაფერს ვგეგმავთ. ბახმარო ამ წუთში უძირო ქვევრივითაა. ამ კურორტზე ახლა უცხოელი რომ მიიღო და თან ისე, რომ რაიონში ფული დაგიტოვოს, ამას შესაბამისი ინფრასტრუქტურა სჭირდება. საუბარია, დაახლოებით 50 მილიონზე. ჩოხატაურს ეგ თანხა 30 წლის განმავლობაში ჯამში არ ექნება.“** — ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამაზ ჭიჭინაძე „კომერსანტთან“ ბახმაროში არსებულ პრობლემებზე საუბრობს.

როგორც ცნობილია, 2017 წელს შეიქმნა ბახმაროს სივრცითი მოწყობისა და მიწათსარგებლობის სარეგულაციო გეგმა. მოხდა ზონირებების დაყოფა, თუ სად უნდა ყოფილიყო სამშენებლო, სად რეკრეაციული ზონა და სად იქნებოდა საზოგადოებრივი საჯარო სივრცე. ეტაპობრივად, ბახმარო ზამთრის კურორტის ფუნქციას იძენს, თუმცა, ჯერ კიდევ მიმდინარეობს საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. კურორტზე ინვესტიციის ჩადებით დაინტერესებულ უცხოელებს შორის რეალური ინვესტორი ჯერჯერობით არ ჩანს.

**„უკვე ოთხი წელია, გერმანელი ინვესტორი ოპერირებს, ქირაობს კოტეჯებს და ზამთარში კოპიტნარის აეროპორტიდან თითო კვირით აჰყავს ტურისტები. არის კიდევ ჩეხური კომპანია, რომელმაც ასევე შარშანწინ დაიწყო იგივე საქმიანობა. ჩამოჰყავს ტურისტები, იქირავა ტერიტორია. სხვა ინვესტორი ამ დროისთვის არ გვყავს, თუ მთავრობასთან ჰქონდა მოლაპარაკება ვინმე უცხოელს, არ ვიცი, მაგრამ თვითმმართველობასთან ბახმაროს განვითარების პროექტზე სხვა ახალ ინვესტორს არ ჰქონია კომუნიკაცია. სად რა უნდა გაკეთდეს და კონკრეტულად ვინ უნდა გააკეთოს, ეს არ არის ჯერ ცნობილი. ჩვენთან რომ შემოდის ადამიანი განცხადებით, პროექტს ვუგზავნით ეკონომიკის სამინისტროს და სწორედ კომისიაზე მტკიცდება პროექტი, შემდეგ იღებს მშენებლობის ნებართვას, რომლის შემდეგაც ის ექსპლუატაციაში შედის. მსურველები საუბრის დონეზე ბევრია, მათ შორის ქართველები. მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ბახმაროში მიწა, ეს არის სახელმწიფოს გადაწყვეტილება, შესაბამისად, გაყიდვაზე თუ იჯარით განკარგვაზე გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო, ჩვენ უბრალოდ გვეკითხებიან მოსაზრებას.“** — ამბობს ჩოხატაურის მერი ირაკლი კუჭავა.

გასულ წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქართულ კომპანია „ორბი ჯგუფს“ 4.5 ჰექტარი გადაეცა ვალდებულებით, რომ 5 წლის განმავლობაში ამ კომპანიამ ბახმაროს შესაბამის ტერიტორიაზე დასასვენებელი ზონის მოწყობისთვის 50 მილიონი ლარი დახარჯოს. ჩოხატაურის მერის განცხადებით, კომპანიამ ჯერჯერობით შესწავლა დაიწყო და კურორტი მოლოდინის რეჟიმშია. ამის გარდა რამდენიმე კვირის წინ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ ხელი მოაწერა მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც, შეიქმნება ბახმაროს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროექტირება.

**„ორი წელიწადია, ბახმარო ზამთრის კურორტად იქცა, არც ერთი თეთრი არ გვრჩება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ხეირობს ვიღაცა გერმანელი ტურისტების ჩამოყვანით, ჩვენ ამაში არ ვერევით. გვინდა, რომ მუნიციპალურ დონეზე გადმოვიდეს ეს ყველაფერი. ჩვენ თოვლის გამწმენდი ტექნიკაც მოვიპოვეთ, ბახმაროში ისეთი გზაა, რომ ვერტმფრენით ან საბაგირო გზით უნდა იაროს სტუმარმა, ტრაქტორს თუ არ მიჰყევი, ვერ ახვალ კურორტამდე. „ორბი ჯგუფი“ აპირებს სასტუმროების და საბაგიროების გაკეთებას, მაგრამ ჯერჯერობით საუბარი საუბრად რჩება. ჩვენ იმდენად მწირი ბიუჯეტი გვაქვს, რომ საქართველოში ალბათ ერთადერთი მუნიციპალიტეტი იქნება ჩოხატაური, სადაც ბიუჯეტში ერთი თეთრი არ გვიდევს, ერთ ლარს ვერ ვხარჯავთ ინფრასტრუქტურაზე. ნაგვის მანქანები გამოთხოვილი გვაქვს, ქუთაისში, ფოთში, თბილისში, ყველაგან წერილები გვაქვს გაგზავნილი — შედეგი არაფერი. ვერც იმას ვიტყვით, რომ უყურადღებოდ ვართ, გამრიცხველიანება გაკეთდა 5 მილიონად, კანალიზაციაც უამრავი დაჯდება, „ორბი“ ინვესტიციას დებს. ჩვენ, ადგილობრივ დონეზე მეტი არაფერი შეგვიძლია.“** — ამბობს თამაზ ჭიჭინაძე

შეგახსენებთ, მთავრობამ კურორტ ბახმაროს განვითარება პრიორიტეტად 2015 წლის თებერვალში მიიჩნია. მაშინ ითქვა, რომ შეიქმნებოდა სპეციალური ჯგუფი, რომელიც *მიზნად* კურორტის განვითარების კომპლექსურ ღონისძიებებს დასახავდა.

**„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი კურორტების პოტენციალი იქნას ბოლომდე ათვისებული, რადგან ტურიზმი გახლავთ ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი დარგი“,** — აღნიშნავდა 2015 წელს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. იმავე პერიოდში გურიის გუბერნატორი აცხადებდა, რომ კურორტის განვითარებას გერმანელი ინვესტორი ინგუ შლუტიუსი გეგმავდა.

ბახმარო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, აჭარა-გურიის მთაგრეხილზე, ზღვის დონიდან 2050 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

**მარიამ მორგოშია**



# წიგნი ქართულ ღვინოზე

**ამერიკელმა ღვინის მაგისტრმა ლიზა გრანიკმა ქართულ ღვინოზე წიგნი** The Wines of Georgia **დაწერა. ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.**

წიგნის ელექტრონული ვერსია ღვინის კლასიკური ბიბლიოთეკის ვებგვერდზეა განთავსებული, სადაც ღვინოსა და ალკოჰოლიან სასმელებზე მსოფლიო ექსპერტების მიერ დაწერილი წიგნებია თავმოყრილი.

336-გვერდიან წიგნში ლიზა გრანიკი საქართველოს მეღვინეობა-მევენახეობის 8000-წლიან ისტორიაზე, კულტურასა და პოტენციალზე წერს. როგორც წიგნის ანოტაციაშია აღნიშნული, მიუხედავად 8000-წლიანი ისტორიისა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ბოლო 25 წლის მანძილზე საქართველო ახალი ძალით მეღვინეობის ტრადიციებსა და ვაზის ადგილობრივ, უნიკალურ ჯიშებს აცოცხლებს.

ღვინის მაგისტრი წიგნზე რამდენიმე წელი მუშაობდა, მან საქართველოს მეღვინეობის ყველა რეგიონი მოიარა, ყველა კუთხის მეღვინეს შეხვდა. ღვინის ინდუსტრიის ისტორიისა და თანამედროვეობის პარალელურად, ავტორი თავის ნაშრომში ასევე ქართული სუფრის ტრადიციებსა და იმ ღირსშესანიშნაობებს აღწერს, რომლებიც მკითხველს ქართული ღვინის გაცნობასთან ერთად, ქვეყანაში მოგზაურობის ინტერესს უჩენს.

# დიმიტრი ცინცაძე – საუკეთესო რეჟისორი

**ჰოლივუდში აზიური ფილმების მსოფლიო ფესტივალი გაიმართა, სადაც დიმიტრი ცინცაძეს საუკეთესო რეჟისორის ჯილდო ფილმისთვის „შინდისი“ გადასცეს.**




კინოფესტივალზე ძირითადად ის ფილმებია წარდგენილი, რომლებიც ოსკარისა და ოქროს გლობუსის ნომინაციებისთვის იბრძვიან.

ფილმი ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალის გრან პრის მფლობელია. ამჟამად „შინდისი“, როგორც საქართველოს კანდიდატი ფილმი, ლოს-ანჯელესში ოსკარისა და ოქროს გლობუსის კამპანიაშია ჩართული.

# ჯენიფერ ლოპესს რეჟისორი სექსუალურად ავიწროებდა

**მსოფლიო ვარსკვლავმა, მომღერალმა ჯენიფერ ლოპესმა გამოცემა** The Hollywood Reporter**-თან განაცხადა, რომ კარიერის დასაწყისში ერთ-ერთი ფილმის გადაღების დროს რეჟისორი მის სექსუალურ შევიწროებას ცდილობდა.**



ლოპესის განცხადებით, მას რეჟისორმა გადაღების დაწყებამდე მოსთხოვა, რომ მკერდი გაეშიშვლებინა, რამაც მომღერლის აღშფოთება გამოიწვია. **„ვუთხარი, რომ ამას არ გავაკეთებდი. გავიხდიდი მხოლოდ გადასაღებ მოედანზე, კამერის წინ, სცენარის მიხედვით“,** – განაცხადა ჯენიფერ ლოპესმა.

2019 წლის ივლისში ჯენიფერ ლოპესს 50 წელი შეუსრულდა. 12 სექტემბერს კი კინოგაქირავებაში გამოვიდა ფილმი „სტრიპტიზიორები“, სადაც მსახიობი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს.

# სროლა კალიფორნიის სკოლაში



**კალიფორნიის ქალაქ სანტა კლარიტას სკოლაში სროლას 2 ადამიანი ემსხვერპლა. ორივე გარდაცვლილი ამავე სკოლის მოსწავლეა. დაღუპულია 16 წლის გოგო და 14 წლის ბიჭი. კრიტიკულ მდგომარეობაშია კიდევ ორი მოზარდი.**

დაშავებულია თავდამსხმელიც, რომელმაც სროლის შემდეგ თვითმკვლელობა სცადა. როგორც ირკვევა, ისიც ამავე სკოლის მოსწავლეა. გავრცელებული ინფორმაციით, 16 წლის მოზარდი, რომელმაც ცეცხლი გახსნა, საკუთარ დაბადების დღეს აღნიშნავდა. თავდასხმის მოტივი ამ დრომდე უცნობია.

თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ კალიფორნიის ერთ-ერთ სკოლაში სროლისას 6 ადამიანი დაიჭრა.

# ზომები ბავშვთა პორნოგრაფიასთან გასამკლავებლად



**რომის პაპი ფრანცისკე მოუწოდებს გიგანტურ ტექნოლოგიურ კომპანიებს, მსგავსად** Facebook, Apple, Google **და** Microsoft**-ისა, მიიღონ ზომები პორნოგრაფიის გასამკლავებლად. აღნიშნული მოწოდება რომის პაპმა ვატიკანში გამართულ რელიგიურ ლიდერებთა კონფერენციაზე გააჟღერა.**

უმაღლესმა პონტიფიკოსმა პორნოგრაფიასთან საბრძოლველად ორი ძირითადი მიზანი გამოკვეთა. უწინარესად, ბავშვთა მიერ პორნოგრაფიული მასალების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა და ინტერნეტსივრციდან ბავშვთა პორნოგრაფიული მასალების ამოღება.

**„საჭიროა, ტექნოლოგიური კომპანიების, მენეჯერებისა და ინვესტორების პასუხისმგებლობების მობილიზება, რათა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესები და კეთილდღეობა არ შეეწიროს კომერციული მოგების მოხვეჭას“,** – თქვა რომის პაპმა.

ვატიკანში მიმდინარეობს ორდღიანი კონფერენცია, რომელსაც ევროკავშირისა და გაეროს უმაღლესი დელეგატების გარდა, Microsoft-ის, Apple-ის, Amazon-ის, Google-ის, Facebook-ისა და Paramount Picutre-ის წარმომადგენლები ესწრებიან.

კონფერენციაზე სიტყვით გამომსვლელთა შორის არიან მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიების ლიდერები და კაიროს ალ-აზარის უნივერსიტეტის დიდი იმამი.

# ლეკვი, რომელსაც კუდი თავზეც აქვს



**აშშ-ში, მისურის შტატის ცხოველთა ერთ-ერთ თავშესაფარში უჩვეულო ლეკვი მოხვდა, რომელსაც თავზე მეორე კუდი აქვს.**

გამოცემის ინფორმაციით, 10 კვირის ლეკვს ნარვალი დაარქვეს. თავშესაფარმა ნარვალის ფოტო Facebook-ზე ატვირთა და რამდენიმე საათში სურათმა ათასობით მოწონება დააგროვა. თავშესაფრის თანამშრომლების თქმით, მას ძალიან უყვარს თამაში, ზედმეტი კუდი კი ცხოველს ხელს არ უშლის და ტკივილს არ აყენებს. ამიტომ, როცა ლეკვი ოდნავ წამოიზრდება, თავშესაფარი მისთვის სამუდამო სახლის ძებნას დაიწყებს.


## მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია:** №GE19TB7601536020100009.

**(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

## უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.9608; ევრო - 3.2566;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8070;
100 რუბლი - 4.6227; თურქული ლირა - 0.5135;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7420;
1000 სომხური დრამი - 6.2006

## ამინდი 16 ნოემბრისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე | +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე | +15 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +7, | დღე | +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +2, | დღე | +22 |
| თბილისი: | ღამე | +6, | დღე | +8 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge